პროლეტარიელო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მთავრობის დეკუნგების საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 29-ე წელი

საშაბათი, 5 აპრილი, 1949 წ. № 66 (8369). ფასი 20 კაპ.

საკავშირო ალკკ XI ყრილობა

2 აპრილის დილის სხდომა

2 აპრილს საკავშირო ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის XI ყრილობის დილის სხდომაზე გრძელდებოდა კამათი საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა გამო.

სიტყვა ეძლევა ლატვიის ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხ. **ვ. კ. კრუმინშს.**

ლატვიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ამბობს იგი, ახალგაზრდობას გადაეშალა თვალუწვდენი პერსპექტივები. რუსპუბლიკაში ამოყავდა ფაბრიკები, უმუშევრობა მთლიანად მოისპო. უმიწაწყლო გლეხებმა საბჭოთა ხელისუფლებისგან მიიღეს მიწა.

ამხ. კრუმინში თავისი სიტყვის მნიშვნელოვან ნაწილს მიუძღვნის ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის ამოცანებს. იგი აღნიშნავს, რომ ლატვიის კომკავშირელთა 80 პროცენტზე მეტი თავის პოლიტიკურ ცოდნას იძაღლებს პოლიტწრეგებსა, პოლიტსკოლებსა და სასწავლებლებში.

დასასრულ ამხ. კრუმინში ეხება სკოლებში კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების მუშაობის გაუმჯობესების საკითხებს.

ყრილობაზე გამოვიდა უმაღლესი განათლების მინისტრი ამხ. **ს. ვ. კაფტანოვი.**

— საბჭოთა უმაღლეს სკოლას ახლა განსაკუთრებით პასუხსაგები ამოცანები ეკისრება. უახლოესი 10-15 წლის განმავლობაში უმაღლესმა სკოლებმა ჩვენს ქვეყანას უნდა მისცენ მილიონობენახევრამდე უმაღლესი განათლების სპეციალისტი.

ამხ. კაფტანოვი აღნიშნავს, რომ სპეციალისტთა მომზადების ხარისხის სერიოზული გაუმჯობესება არ შეიძლება წარმატებით განხორციელდეს მოზარდი კადრების იდეურ-პოლიტიკური აღზრდის აუმაღლესად.

ტრიბუნაზეა სტალინის სახელობის კუზნეცკის მეტალურგიული კომბინატის წარჩინებული მეფოლადე ამხ. **ა. პ. შაშკოვი.** იგი ყრილობის დელეგატებს მხურვალე სალამს გადასცემს ლენინისა და ქვანახშირის ქალაქ სტალინსკის კომკავშირელებისა და ახალგაზრდობისგან.

თავისი სიტყვის დასასრულს ამხ. შაშკოვი აცხადებს, რომ კისრულობს ვალდებულებას — წელს გეგმის გადამეტებით გამოუშვას 1.800 ტონა მაღალხარისხოვანი ფოლადი და ყრილობის ტრიბუნიდან სოციალისტურ შეჯიბრებაში იწვევს მეორე დელეგატს — მაგნიტოგორსკის კომბინატის ახალგაზრდა მეტალურგს ამხ. ზახაროვს. ამ სიტყვებს ყრილობის დელეგატები ტაშით ხვდებიან.

— კომკავშირის საქმიანობის მაღალი შეფასება, რაც მას მისცა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა თავის მისალმებაში საკავშირო ალკკ XI ყრილობისადმი, ჩვენში კანონიერ სიამაყეს იწვევს და გვავალებს უფრო მეტად გავზარდოთ მომთხოვნელობა საკუთარი თავისადმი, — ამბობს თავის გამოსვლაში კარელია-ფინეთის რესპუბლიკის ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. **ვ. ი. გოლუბევი.**

იგი აცხადებს, რომ რესპუბლიკის ახალგაზრდობამ წარმატებით შეასრულა კომკავშირის XI ყრილობის ალსანიშნავად ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი.

ყრილობას მიესალმა ჩრდილოეთ კორეის დემოკრატიული ახალგაზრდობის კავშირის წარმომადგენელი **ო უნ სოკი,** რომელსაც ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ.

ტრიბუნაზეა სამეზის საბჭოთა კავშირის მგზავრი **ა. ი. პოკრიშკინი.** ამხ. პოკრიშკინი ყრილობას გადასცემს სტალინური ავიაციის მეომართა მგზნებარე საბრძოლო სალამს.

მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა ესპანეთის დემოკრატიული ახალგაზრდობის წარმომადგენელი **იგნაციო გალეიგო,** რომელსაც მხურვალე ტაშით შეხვდნენ.

ამით დამთავრდა კამათი საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა გამო.

თავმჯდომარე სიტყვას აძლევს საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხ. **ნ. ა. მიხაილოვს.**

— ამხანაგო დელეგატებო! — ამბობს ამხ. მიხაილოვი, — საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის ანგარიშის განხილვა ჩვენს ყრილობაზე მოწმობს ჩვენი აქტივის პოლიტიკურ სიმწიფეს, ბოლშევიკურ პრინციპულობას, ადგილობრივ კომკავშირულ ორგანიზაციებთან საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის კავშირის განმტკიცებას, მაღალ მომთხოვნელობას, რასაც კომკავშირის ხელმძღვანელ კადრებს უყენებენ.

კამათი საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის ანგარიშის გამო მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე, ჩვენი მუშაობის ნაკლოვანებათა ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის ვითარებაში ჩატარდა.

ყრილობას განუწყვეტლივ მოსდის ცნობები, პატაკები საბჭოთა ახალგაზრდობის ახალ საწარმოო წარმატებათა შესახებ. მოწონავეთა რიგებში არიან ჩვენი სახელოვანი მოსკოვის კომკავშირელები და ახალგაზრდობა.

ლენინგრადის სამგზის ორდენოსანი კიროვის ქარხნის ახალგაზრდა მუშამ, რომლებიც დადგნენ ყრილობის აღსანიშნავ სტახანოვურ ვახტზე, გეგმის გადამეტებით გამოუშვეს ასობით ტონა მაღალხარისხოვანი ფოლადი და ნაგლინი, გეგმის გადამეტებით დაამზადეს 26 ტრაქტორი. კვარტალური პროგრამა ვადამდე შეასრულა 2.672 ახალგაზრდა მუშამ.

მინსკში 900 ახალგაზრდა მუშამ ყრილობისათვის მზადების დღეებში დაამთავრა ხუთწლიანი დავალება, ათასობით ახალგაზრდა ადამიანი მუშაობს 1950 წლის ანგარიშში.

ჩვენი ქვეყნის სამხრეთი რაიონების ბევრმა კოლეტურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ ყრილობის სახუქრად დაამთავრა საგაზაფხულო კულტურების თესვა და წარმატებით ეწევა მიდგრის სხვა სამუშაოებს.

ყრილობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა — განაზოგადოს კომკავშირული ორგანიზაციების მიერ შეძენილი დადებითი გამოცდილება. ორატორთა გამოსვლებიდან შეიძლება მივიღოთ ბევრი რამ საგულისხმო და ჭვრეტასა ჩვენი შემდგომი მუშაობისათვის. ამოცანა ის არის, რომ როგორც სწორად ამბობდა ბევრი ამხანაგი, უკეთ განვაზოგადოთ და გავავრცელოთ დადებითი გამოცდილება.

კომკავშირის მუშაობის მაღალი შეფასება, რაც მოცემულია საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმებაში ჩვენი ყრილობისადმი, რაზზეც ახალგაზრდა პატრიოტთა ძალებს ახალი შრომისათვის, ახალი საგმირო საქმეებისათვის სამშობლოს სასახელოდ.

მისალმების საპასუხოდ ჩვენი ყრილობის დელეგატებს, საბჭოთა კავშირის კომკავშირელთა მთელი ცხრამილიონიანი არმიის სახელით, სრული საფუძველი აქვთ უთხრან ჩვენს შობიერ ბოლშევიკურ პარტიას, პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, ამხანაგ სტალინს: ძეგრფასო ამხანაგო სტალინ, ლენინური კომკავშირი ღირსეულად შეასრულებს ამ წმიდა, დიად ამოცანებს **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

გაუმარჯოს კომუნიზმის ბელადს, შობიერიო, მხურვალედ საყვარელ ამხანაგ სტალინს!

(ყველანი ფეხზე დგებიან. დარბაზში იმართება მქუხარე ოვაცია ამხანაგ ი. ბ. სტალინის პატივსაცემად. გაისმის მისასალმებელი შეძახილები: „დიდ სტალინს ვაშა!“, „საბჭოთა ახალგაზრდობის მეგობარს ამხანაგ სტალინს ვაშა!“).

დელეგატ ამხ. **ნ. პ. კრასავჩენკოს** მთელი რიგი დელეგაციების დავალებით შეაქს წინადადება — მოწონებულ იქნას საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ხაზი და პრაქტიკული მუშაობა.

ყრილობა ამ წინადადებას ერთხმად იღებს.

შემდეგ დელეგატ ამხ. **პ. მ. მაშეროვს** წინადადება შეაქვს დამტკიცდეს საკავშირო ალკკ ცენტრალური სარევიზიო კომისიის მოხსენება. ყრილობა ერთხმად ამტკიცებს საკავშირო ალკკ ცენტრალური სარევიზიო კომისიის მოხსენებას. ყრილობა ერთხმად ამტკიცებს რეზოლუციას საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო.

ყრილობა გადადის დღის წესრიგის შემდეგი საკითხის განხილვაზე. მოხსენებისათვის „სკოლაში კომკავშირის მუშაობის შესახებ“ სიტყვა ეძლევა საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხ. **ტ. ი. ერშოვას.**

— კომუნისტური პარტია, საბჭოთა მთავრობა, ამხანაგი სტალინი უდიდეს ყურადღებას აქცევენ საბჭოთა სკოლის შემდგომ განმტკიცებასა და განვითარებაზე, ახალგაზრდობის სწავლასა და კომუნისტურ აღზრდას, — ამბობს ამხ. ერშოვა.—საბჭოთა სკოლა უმნიშვნელოვანესი რგოლია კომუნიზმის მოლიონობით მშენებელთა აღზრდაში. სკოლაში იზრდება და სწავლობს ჩვენი ქვეყნის მთელი მოზარდი თაობა. კომკავშირი — ბოლშევიკური პარტიის ერთგული თანაშემწე — სკოლაში თავის მუშაობას ყოველთვის განიხილავს როგორც დიდი სახელმწიფოებრივი არიან ნენი ამ უმნიშვნელოვანესი საქმეს.

ჩვენი ქვეყანა იწყებს საყოველთაოსავალდებულო შვიდწლიანი სწავლის ყველგან განხორციელებას. კომკავშირის ვალია უადრესად აქტიური მონაწილეობა მიიღოს ამ უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოებრივი ამოცანის გადაწყვეტაში.

საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დგას ამოცანა — განადოს ყველა მუშა და გლეხი კულტურული და განათლებული, მოამზადოს კომუნისტური საზოგადოების ყოველმხრივ განვითარებული, შეგნებული და აქტიური მშენებლების ახალი კადრები. ამ ამოცანის გადაწყვეტაში დიდნაწილეულოვანი როლი უნდა შეასრულოს საბჭოთა სკოლამ. კომკავშირის ვალია აქტიური დახმარება გაუწიოს კომუნისტურ პარტიას და საბჭოთა მთავრობას სკოლის შემდგომ განმტკიცებასა და განვითარებაში.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ საანგარიშო პერიოდის მანძილზე კომკავშირმა დიდი მუშაობა ჩაატარა სკოლაში. კომკავშირელები და პიონერები გვიჩვენებენ სწავლისა და დისციპლინაადი შეგნებული დამოკიდებულების მაგალითს. ბევრ სკოლაში კომკავშირელ და პიონერ მოსწავლეთა შორის არ არიან ჩამორჩენილები, მეტი წილი მათგანი ბრტყო კარგად და წარჩინებით სწავლობს. თითქმის ყველა მოსწავლე, რომლებმაც სკოლა ოქროს ან ვერცხლის მედლით დაამთავრეს, კომკავშირელია. მნიშვნელოვნად განმტკიცდნენ კომკავშირული ორგანიზაციები, გაიზარდა მათი ავტორიტეტი მოსწავლეთა ახალგაზრდობაში. კომკავშირის X ყრილობიდან განვლილ პერიოდში კომკავშირელ მოსწავლეთა რიცხვი ხუთსახეკარკეტ გაიზარდა. უფრო მრავალფეროვანი და საინტერესო გახდა კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის ფორმები და მეთოდები. კომკავშირელთა ინიციატივით სკოლებში იქმნება სასაგნო წრეები, ეწყობა ლექციები, მკითხველთა კონფერენციები, დისპუტები, ექსკურსიები, ტექნიკური შემოქმედების დათვალიერებანი, ნორჩ ფიზიკოსთა, მათემატიკოსთა და ქიმიკოსთა კონკურსები.

ამასთან ერთად ამხ. ერშოვა აღნიშნავს, რომ სასკოლო კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებებიც არის. არიან ისეთი სასკოლო კომკავშირული ორგანიზაციები, რომლებიც სუსტად იბრძვიან იმისათვის, რომ მოსწავლეებმა მიიღონ ღრმა და მტკიცე ცოდნა, განმტკიცდეს დისციპლინა. ზოგიერთ სკოლაში, განსაკუთრებით ნოვოსიბირსკის, ჩიტის, ომსკის, იაროსლავლის ოლქებში, ყირგიზეთის სს რესპუბლიკაში არის მეორეწლიანობის შემთხვევები. ჩამორჩენილთა შორის კომკავშირელებიც არიან. ამავე დროს ბევრი კომკავშირული ორგანიზაცია მათ მიმართ საკმაო მომთხოვნელობას არ იჩენს. ზოგიერთი სასკოლო კომკავშირული ორგანიზაციის მუშაობაში აღმოფხვრილი არ არის ფორმალიზმი. ხშირად იმის ნაცვლად, რომ მასწავლებელს ყოველდღიური დახმარება გაუწიონ მოსწავლეთა ცოდნის ხარისხის ამაღლებაში, ეწყობა მრავალი კრება, რომლებიც მოსაწყენი დარიგების ხასიათის ატარებენ. ბევრ ადგილას კომკავშირის კომიტეტები აზგაწყენ ყოველგვარ ცხობებსა და ცხრილებს, რომლებზე მუშაობაც აქტივისტებს ბევრ დროს ართმევენ და არავითარი სარგებლობა არ მოაქვს. ბევრ სკოლაში არის მოსწავლეთა, გასსაკუთრებით კომკავშირულ და პიონერულ აქტივისტთა, ყოველგვარი საზოგადოებრივი და არასასწავლო მუშაობით გადატვირთვის არასწორი პრაქტიკა.

სკოლების კომკავშირული ორგანიზაციები მხოლოდ იმ შემთხვევაში გაართმევენ თავს თავიანთ ამოცანებს, თუ ყოველდღიურად ჩაუნერგავენ მოსწავლეებს სიმტკიცეს ცოდნის დაუფლებაში, შეგნებულ, კეთილსინდისიერ დამოკიდებულებას გაკვეთილისადმი, საშინაო დავალებათა შესრულებისადმი.

ამხ. ერშოვა აღნიშნავს, რომ ალკკ საოლქო კომიტეტები, სამხარეო კომიტეტები, მოკავშირე რესპუბლიკათა ცენტრალური კომიტეტები ღრმად უნდა ჩასწვდნენ სკოლების სასწავლო პროცესების შინაარსს. ეს მით უმეტეს საჭიროა, ამბობს იგი, რომ სკოლაში ძირითად მეცნიერებათა სწავლებაზე ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებანი.

მოზარდი თაობის სწავლასა და აღზრდაში სკოლების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს პოლიტიკურ განათლებას. მომხსენებელი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კომკავშირული ორგანიზაციების მთელმა მუშაობამ მოსწავლეთა პოლიტიკური განათლების დარგში უნდა შეავსოს და გააღრმავოს ის ცოდნა, რაც მოსწავლეებმა გაკვეთილებზე მიიღეს, და აგებულ უნდა იქნას მათი ასაკის საერთო მომზადების გათვალისწინებით სკოლის აღმზრდელობითი მუშაობის გეგმის შესაბამისად.

კომკავშირული ორგანიზაცია მოწოდებულია დაეხმაროს მასწავლებელს მოსწავლეთა პირობრნტის გაფართოებაში, მათი პოლიტიკური და კულტურული ფონის ამაღლებაში. სკოლამ და კომკავშირმა ჩვენს ახალგაზრდობას უნდა მაუნერგოს სტალინური ეპოქის ადამიანის საუკეთესო თვისებანი — უსაზღვრო სიყვარული სამშობლოსადმი, თავდადებული ერთგულება ლენინ-სტალინის საქმისადმი, ნამდვილი ამხანაგობის გრძნობა, მტკიცე ხებსყოფა, სიმამაცე, შეუპოვრობა მიზნის მიღწევაში. მოსწავლე ახალგაზრდობამ აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში. ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის, მისი ჯანმრთელობის განმტკიცების, შრომისა და სოციალისტური სამშობლოს დაცვისათვის მომზადების დიდმნიშვნელოვანი საშუალებაა ფიზიკური კულტურა.

სასკოლო კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის წარმატება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია მათ მიმართ კომკავშირის რაიკომების, საქალაქო და საოლქო კომიტეტების ხელმძღვანელობის დონეზე.

მომხსენებელი დაწვრილებით ჩერდება პიონერული მუშაობის საკითხებზე. მომხსენებელი ლაპარაკობს პიონერ ხელმძღვანელთა კადრების განმტკიცების დარგში მთელ რიგ ორგანიზაციულ ღონისძიებათა გატარებაზე, პიონერული მუშაობის შინაარსის გაუმჯობესებაზე, ნორჩ პიონერთა ინიციატივისა და თვითმოქმედების შემდგომ განვითარებაზე და აღნიშნავს, რომ პიონერული ორგანიზაცია დიდ და საპირო მუშაობას ეწევა სკოლაში. ამხ. ერშოვას მოყავს საინტერესო მაგალითები, რომლებიც ცხადყოფენ, რომ პიონერულმა ორგანიზაციამ თავისი მრავალმხრივი შინაარსიანი და საინტერესო მუშაობით აქტორიტეტი მოიპოვა მოსწავლეებში და მასწავლებელთა სერიოზული დასაყრდენი გახდა.

იმისათვის, რომ პიონერული მუშაობა ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე აეყვანინთ, საჭიროა გავაუმჯობესოთ მუშაობა პიონერ ხელმძღვანელებთან, ავამაღლოთ მათი პედაგოგიური ცოდნა, ზოგდასაგანმანათლებლო და პოლიტიკური დონე.

(დასასრული მე-2 გვერდზე)

მეცნიერებისა და წარმოების მუშაკთა თანამეგობრობა

ჯერ ისევ, მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში, ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლის, ადამიანის მიერ თავისი შემოქმედებითი უნარისა და ცოდნის გამოვლინების, საერთო სახალხო სამსახურისათვის მისი გამოყენების ისეთი ფართო პერსპექტივები არ არის გადაშლილი, როგორც ჩვენს სამშობლოში — სოციალიზმის ქვეყანაში. ბურჟუაზიულ საზოგადოებაში მეცნიერება, ტექნიკა, ყოველივე პროგრესული, რაც მეცნიერებას შეუქმნია, ერთი მუჭა კაპიტალისტების სამსახურშია ჩაყენებული, მათი მძარცველური გეგმების განხორციელების, მშრომელი მასების ჩაგვრისა და შემდგომი გაღატაკების იარაღია. სულ სხვაა ჩვენს ქვეყანაში, გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანაში, სადაც „...მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესი ნიშნავს სახალხო მეურნეობის აყვავებას, მშრომელი მასების კეთილდღეობისა და კულტურის ზრდას. მხოლოდ მეურნეობის სოციალისტური სისტემის პირობებშია შესაძლებელი მეცნიერების მოღვაწეთა და წარმოების მუშაკთა ნამდვილი შემოქმედებითი თანამეგობრობა“. („პრავდა“).

საბჭოთა ხალხი, რომელმაც ლენინ-სტალინის პარტიის ხელძღვანელობით, დიდი სტალინის წინამძღოლობით უკვე დაამთავრა სოციალიზმის შენებლობა ჩვენს ქვეყანაში და ძლევამოსილად მიდის წინ, კომუნიზმისაკენ, უმაგალითო წარმატებებს აღწევს სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. ამ წარმატებათა მოპოვებაში ერთ-ერთი გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს წარმოებაში ტექნიკურ სიახლეთა ბოლშევიკურად დანერგვას. ჩვენ გვაქვს პირველხარისხოვანი ტექნიკით აღჭურვილი მრეწველობა, გვყავს მრავალრიცხოვანი მაღალკვალიფიციური მუშათა და წარმოების მეთაურთა კადრები. საბჭოთა ხელისუფლების წლებში ჩვენში აღიზრდნენ ხალხის წიაღიდან გამოსული მრავალრიცხოვანი სამეცნიერო და ტექნიკური ინტელიგენციის კადრები, რომელთაც კარგად აქვთ შეგნებული, რომ მოწონავე მეცნიერება, როგორც ამას ამხანაგი სტალინი გვასწავლის, „ხალხს კი არ ეშიოჭნება, ხალხისაგან შორს კი არ უფრიალს თავი, არამედ მზად არის ემსახუროს ხალხს, მზად არის გადასცეს ხალხს მეცნიერების ყველა მონაპოვარნი...“.

მიმდინარე ხუთწლედში მრეწველობის მუშაკთა წინაშე პარტიისა და მთავრობის მიერ დასახულია ამოცანა უფრო სწრაფად აითვისონ ყველაზე სრულყოფილი სახეების პროდუქციის წარმოება, უფრო ფართოდ დანერგონ უახლესი ტექნიკა, ყოველმხრივ გაუმჯობესონ ტექნოლოგია და შრომის ორგანიზაცია, მიაღწიონ პირველხარისხოვანი პროდუქციის გამოშვების მაქსიმალურად გადიდებას, სახრუნვავ საშუალებათა ბრუნვის დაჩქარებას და ამ გზით სახელმწიფოსათვის მილიარდობით მანეთის გადთვისუფლებას.

ამ ამოცანების განხორციელების ერთ-ერთი მძლავრი საშუალებაა წარმოებაში ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლის ფართოდ გაჩაღება, მეცნიერებისა და წარმოების მუშაკთა შემოქმედებითი თანამშრომლობის განმტკიცება. ამ მიმართულებით მისაბაძი ინიციატივა გამოიჩინეს ლენინგრადის ხუთი მოწონავე ინსტიტუტის მეცნიერმა მუშაკებმა, რომლებმაც ამას წინათ მოწოდებით მამართეს ლენინის ქალაქის მეცნიერებსა და მეცნიერ მუშაკებს ასეთი თანამშრომლობის უფრო განმტკიცების შესახებ. ამ საკითხის განსახილველად ამ დღეებში ლენინგრადში მოწვეულმა კრებამ, რომელსაც ლენინგრადისა და მისი ოლქის მრეწველობის, მეცნიერებისა და ტექნიკის ათასზე მეტი კაცი ესწრებოდა, გულდასმით განიხილა ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლაში მეცნიერებისა და წარმოების მუშაკთა თანამეგობრობის საკითხი, მოიწონა მოწონავე ინსტიტუტების კოლექტივების თაოსნობა და წერილით მიმართა ამხანაგ სტალინს. „პირობას გაძლევთ თქვენ, საყვარელო ბელადო, — წერენ ლენინგრადელები თავიანთ წერილში, — ლენინგრადი გადაქცეოთ ტექნიკური პროგრესის, სოციალისტური წარმოების მაღალი კულტურის ქალაქად. მივაღწევთ იმას, რომ ლენინგრადის მრეწველობა უშვებდეს მხოლოდ საუკეთესო ხარისხის პროდუქციას“.

ლენინგრადელთა ამ ახალ, პატრიოტულ თაოსნობას ერთსულოვნად უნდა გამოეხმაურონ ჩვენი რესპუბლიკის მრავალრიცხოვანი უმაღლესი სასწავლებლების, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების მეცნიერები, სწარმოთა სამეფურნეო ხელმძღვანელები და ინჟინერ-ტექნიკოსები. ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლის გაძლიერების, სამეცნიერო დაწესებულებათა და სამრეწველო საწარმოთა მჭიდრო შემოქმედებითი თანამეგობრობის გაფართოების ამოცანა მთელი სიგრძე-სიგანით დგას ჩვენი მრეწველობის წინაშე. შარშან რესპუბლიკის ზოგიერთ ლითონდამამუშავებელ საწარმოში დაინერგა ლითონის სწრაფად ჭრის მეთოდი, რაშიც სათანადო წვლილი მიუძღვით ჩვენი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების მეცნიერ მუშაკებს. მეცნიერები ზმირად გამოდიან ლექციებითა და მოხსენებებით წარმოების მუშათა წინაშე, კინოსულტაციას უწევენ საწარმოთა ინჟინერ-ტექნიკოსებსა და სტახანოველებს, საწარმოებისათვის ამუშავებენ ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებებს ახალი, სრულყოფილი მანქანების ათვისების, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, თვითღირებულების შემცირებისა და ზეგეგმითი დაგროვების გადიდებისათვის. მაგრამ რაც დღემდე ამ მიმართულებით კეთდება, სრულიადაც არ არის საკმარისი.

საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობაზე ამხანაგ კ. ჩარკვიანმა სამართლიანად მიუთითა, რომ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია დიდ მუშაობას ეწევა ქართული საბჭოთა მეცნიერების ყველა დარგის განვითარებისათვის. მაგრამ „აკადემიის ზოგიერთი ინსტიტუტის მუშაობა ჯერ კიდევ მოწყვეტილია სახალხო მეურნეობის კონკრეტულ საჭიროებას. ბევრ შემთხვევაში მეცნიერულ ნაშრომთა თემატიკა ისახება არა აქტუალური პრობლემების შესაბამისად, არამედ ამა თუ იმ მეცნიერი თანამშრომლის სურვილის თანახმად. მნიშვნელოვანი სამეცნიერო-ტექნიკური პრობლემების დაშუშავებასას ჩვენს მეცნიერებს ზოგჯერ დამაყარებული არა აქვთ კონტაქტი იმ ორგანიზაციებთანაც კი, რომელთა მუშაობასაც ისინი იკვლევენ“.

საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელმა ჩვენი რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიას და მის ინსტიტუტებს ამოცანად დაუსახა მჭიდრო დაუკავშირონ თავიანთი მუშაობა სახალხო მეურნეობისა და კულტურული მშენებლობის საჭიროებას. დროა ბოლო მოეღოს ზოგიერთი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის კარჩაკეტილობას, საწარმოებისაგან მოწყვეტას.

ამხანაგ ჩარკვიანის მითითების განხორციელებისათვის კარგი ინიციატივა გამოიჩინა საქართველოს უმაღლესი სკოლებისა და სამეცნიერო დაწესებულებათა მუშაკების პროფესიული კავშირის რესპუბლიკურმა კომიტეტმა, რომელმაც ამას წინათ სპეციალურ პლენუმზე განიხილა ეროვნულ მუშაკთა და სამეცნიერო დაწესებულებათა მხრივ მრეწველობისა და ტრანსპორტისათვის დახმარების საკითხი. ამ პლენუმზე, რომელსაც მრავალი გამოჩენილი მეცნიერი, საწარმოს დირეკტორი და მთავარი ინჟინერი ესწრებოდა, მთელი რიგი საინტერესო პრობლემები გამოვლინდა და დაისახა გზები ამ პრობლემათა გადაჭრისათვის. პლენუმის მიერ მიღებული რეზოლუცია მოუწოდებს მეცნიერ მუშაკებს უფრო აქტიურად დაეხმარონ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობას მის წინაშე მდგომი მრავალფეროვანი ამოცანების სასახელოდ განხორციელების საქმეში, ყოველმხრივ შეუწყონ ხელი წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის სიახლეთა დანერგვას. თავის მხრივ მრეწველობის ხელმძღვანელებმაც უფრო მჭიდრო კავშირი უნდა დაამყარონ მეცნიერ მუშაკებთან, უმაღლეს სასწავლებლებთან და სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებთან.

ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლის, მეცნიერებისა და წარმოების მუშაკთა თანამშრომლობის გაფართოების ერთ-ერთი საშუალებაა უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლებისა და სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების შეფობა საწარმოებისადმი, საწარმოს საუკეთესო სტახანოველთა ლექციების მოწყობა უმაღლეს სასწავლებლებში მათი პრაქტიკული მუშაობის გამოცდილებაზე, რასაც უკვე ახორციელებენ ლენინგრადის ტექნოლოგიურ ინსტიტუტსა და ზოგიერთ სხვა უმაღლეს სასწავლებელში.

ფართოდ გავავრცელოთ ლენინგრადელთა პატრიოტული თაოსნობა, ახალი ძალით გავაჩაღოთ ბრძოლა ტექნიკური პროგრესისათვის.

ქრონიკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ნება დართო საქართველოს სსრ რაიონების კოლმეურნეობებს, კოლმეურნეებსა და ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობებს, რომლებმაც შესრულეს მზესუმზირის დამზადების გეგმა და მთლიანად გამოყვეს მზესუმზირის თესლი 1949 წლის საგაზაფხულო თესვისათვის მთელ რაიონში, მზესუმზირა გაყიდონ და გადაცვალონ მზესუმზირის 1949 წლის მოსავლის ალების დაწყებამდე. (საქდესი).

ᲛᲐᲠᲒᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲯᲠᲔᲚᲗᲐ ᲒᲐᲓᲐᲭᲐᲠᲑᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲡᲐᲡᲠᲣᲚᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲕᲐᲠᲢᲐᲚᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲐ

ᲭᲘᲐᲗᲣᲠᲐ. (საკ. კორ.). საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჭიათურელი მაღაროელები თვალსაჩინო წარმატებებს აღწევენ. მარგანეცის ტრესტმა გადაჭარბებით შესასრულა პირველი კვარტალის საწარმოო გეგმა. პირველ კვარტალში განსაკუთრებით მაღალნაყოფიერად იმუშავეს ლენინისა და ორჯონიკიძის სახელობის მაღაროებმა.

ჭიათურელი მაღაროელები ენერგიის დაუზოგავად შრომობენ, რათა საწარმოო ფრონტზე მორიგი გამარჯვებებით აღნიშნონ მშრომელთა საერთაშორისო დღესასწაული — პირველი მაისი.

2.000 ᲫᲘᲠᲘ ᲛᲪᲔᲜᲐᲠᲔ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲒᲐᲛᲬᲕᲐᲜᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲒᲝᲠᲘ. (საკ. კორ.). მშრომელთა დეპუტატების გორის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა ქალაქის გამწვანებისათვის ოფზაზეთიდან შემოზიდა 2.000 ძირი ბეჭრქოვანი მცენარე.

მცენარეთა დარგვა ახლო ხანში დამთავრდება.

ᲥᲕᲐᲜᲐᲮᲨᲘᲠᲘᲡ ᲐᲛᲝᲦᲔᲑᲐᲨᲘ ᲓᲐᲬᲘᲜᲐᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ

ᲢᲧᲘᲑᲣᲚᲘ. (საკ. კორ.). მარტის ბოლო დეკადაში ქვანახშირის ამოღებისათვის ბრძოლაში დაწინაურდნენ ტყიბულქვანახშირის ტრესტის მთელი რიგი მოწონავე კოლექტივები. გელათის შახტის კოლექტივმა პირველი კვარტალის გეგმა ვადამდე 4 დღით ადრე შესრულა და იკისრა გეგმის გადამეტებით მრავალი ასი ტონა ქვანახშირის ამოღება.

22 მარტს შესასრულა ქვანახშირის მოპოვების კვარტალური გეგმა სტალინის სახელობის შახტის პირველმა საექსპლოატაციო უბანმა, რომელსაც ინჟინერი ბ. ჯალაღანია ხელმძღვანელობს. ლენინის სახელობის შახტში პირველი კვარტალის გეგმის შესრულებას ყველას გაუსწრო ინჟინერ ჯ. გაბრიაძის უბნის კოლექტივმა.

სამთო-მოსაპმზადებელ უბნებს შორის საუკეთესო მაჩვენებლები აქვს ინჟინერ ი. თოფურიას უბნის კოლექტივს. პირველი კვარტალის გეგმა ამ უბანმა ვადამდე გადაჭარბებით შეასრულა.

ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲗᲐᲜ

ᲪᲮᲐᲙᲐᲘᲐ. (საკ. კორ.). სოფელ ზანის ბერიას სახელობის კოლმეურნეობა გამოცდილებს გაზიარების მიზნით შეხვედრა მოუწყეს თეკლათის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირს, სოციალისტური შრომის გმირს მალეკა გვარამიას.

ამხ. შ. გვარამიამ ზანელ კოლმეურნეებს მოუთხრო თავისი მუშაობის გამოცდილებაზე. დიდი ინტერესი გამოიწვია ხელოვნური დამტვერვის საკითხმა, რასაც ამხ. გვარამია მესამე წელია ატარებს თავის ბრიგადის ნაკვეთებზე.

შეხვედრაზე კოლმეურნეებმა ერთმანეთს გაუზიარეს თავიანთი გამოცდილება.

ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲪᲘᲪᲮᲠᲣᲚᲝᲕᲐᲜᲗᲐ ᲜᲔᲠᲒᲘᲡ ᲒᲐᲒᲖᲐᲕᲜᲐ ᲛᲝᲛᲔᲓᲘ ᲠᲔᲡᲞᲣ

საშუალებათი, 5 აპრილი, 1949 წ. № 86 (8369).

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკავშირო ალკკ XI ყრილობა

(დასასრული)

ამხ. ერშოვას ყრილობის განსახილველად შეაქვს მთელი რიგი პრაქტიკული წინადადებანი. კერძოდ, იგი აყენებს საკითხს უფროს და რაზმის პიონერ ხელმძღვანელებად მასწავლებელთა ფართო მოზიდვის შესახებ, პედაგოგიურ სასწავლებლებში პიონერული ორგანიზაციების მუშაობის საკითხებზე სალექციო კურსისა და სემინარული მეცადინეობის შემოღების შესახებ და სხვა. მომხსენებელმა თავისი მოხსენების მნიშვნელოვანი ნაწილი მიუძღვნა მხარადი თაობის აღზრდაში საბჭოთა მასწავლებლის როლის ჩვენებას და დაწვრილებით შეჩერდა მასწავლებელთა ახალი კადრების მომზადების საკითხებზე.

ბოლშევიკური პარტია, საბჭოთა მთავრობა დაუოალავად ზრუნავენ ბავშვებზე, რომლებიც უმშობლებოდ დარჩნენ. მათი აღზრდისათვის შექმნილია საბავშვო სახლების ფართო ქსელი, ასიგნებულია დიდი სახსრები. კომკავშირულმა ორგანიზაციებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ საბავშვო სახლების მუშაობაში.

მომხსენებელმა აღნიშნა საბჭოთა ლიტერატურისა და საბჭოთა ხელოვნების როლი ჩვენი მოზარდი თაობის აღზრდაში და განაცხადა, რომ ჩვენში შექმნილია მაღალიდეური ლიტერატურა ბავშვებისათვის. მას კეკბავს ცხოველმყოფელი საბჭოთა პატრიოტიზმის მძლავრი წყაროები. ბავშვებისათვის წიგნების გამოშვება გაიეხრელად იზრდება. უკანასკნელი ორი წლის მანძილზე მარტო საბავშვო ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ და „მოლოდაია გვარდიამ“ გამოუშვეს დაახლოებით 75 მილიონი ეგზემპლარი წიგნი ბავშვებისა და ჭაბუკებისათვის. დიდძალი ლიტერატურა გამოუშვეს სხვა გამომცემლობებმა. ამხ. ერშოვამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბავშვო ლიტერატურის მიღწევები დიდია, მაგრამ ამასთან განაცხადა, რომ ჩვენი მწერლები ვალში არიან ნორჩი მკითხველების წინაშე. საკმაოდ არ იცვამა წიგნები ბავშვებისათვის შრომის გმირებზე, სტახანოველებზე, კოლმეურნეებზე, ჩვენი სამშობლოს მეცნიერებს, ტექნიკოსა და კულტურის ადამიანებზე.

ჩვენს ქვეყანაში ბავშვებისათვის გამოდის 34 ჟურნალი და გაზეთი თითქმის 2 მილიონი საერთო ტირაჟით. ბავშვო გაზეთები და ჟურნალები მოსწავლეთა ფართო მასების აღზრდის ძლავრი საშუალებაა. საჭიროა ეს საშუალება უნარიანად გამოვიყენოთ.

• ბავშვების აღზრდაში, მათი მხატვრული გემოვნების ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ თეატრი და კინო.

— ჩვენ მოველით საბჭოთა მწერლებისაგან, დრამატურგებისაგან, კომპოზიტორებისა და მხატვრებისაგან, რომ ისინი ბავშვებსა და ჭაბუკობას გაახარებენ ახალი, მკაფიო, ნიჭიერი წიგნებით, ფილმებით, სპექტაკლებით ჩვენი საყვარელი სამშობლოს შესახებ, ბოლშევიკური პარტიისა და მისი ბელადების ლენინისა და სტალინის შესახებ (ტაში), დიდი საბჭოთა ხალხის შესახებ, კომუნიზმისაკენ ჩვენი ძლევამოსილი წინსვლის შესახებ, — ამბობს ამხ. ერშოვა.

— ლენინური კომკავშირი ამაყობს იმ მაღალი შეფასებით, რომელიც მის მუშაობას ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის დარგში მისცა ჩვენი პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა კომკავშირის XI ყრილობისადმი მისალმებაში. ჩვენ უფრო უნდა გავუმჯობესოთ ჩვენი მუშაობა, რომ გავამართლოთ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის დიდი ნდობა, — ამბობს დასასრულ ამხ. ერშოვა და დიდგრძელობას უსურვებს დიდ სტალინს. დარბაზში იმართება მქუხარე, ხანგრძლივი ოვაცია ამხანაგ სტალინის პატივსაცემად.

დილის სხდომის დასასრულს თავმჯდომარე აცხადებს, რომ ყრილობის სახელზე მიღებულია მისასალმებელი დეპეშები ჩვენი ქვეყნის მთელი რიგი პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციებისაგან, აგრეთვე სტუდენტთა საერთაშორისო კავშირისაგან, მექსიკის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირისაგან, ჰოლანდიის ახალგაზრდობის კავშირისაგან. პოლონეთის ახალგაზრდობის ორგანიზაციისაგან და სხვ.

(საკდესი).

ამხ. ი. ს. ზოდელავას სიტყვა

(საქართველოს სსრ)

ამხანაგებო! ჩვენ, აქ შეკრებილ კომკავშირელებს, დიდი ბედნიერება გვხვდა წილად — მონაწილეობა მიეღოთ საკავშირო ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის უმაღლესი ორგანოს მუშაობაში. ჩვენ ყველანი აღსავსე ვართ ერთი გრძნობით, ერთი სურვილით, მივისწრაფვთ ერთი მიზნისაკენ — ყოველივეს ვიყოთ ლენინ-სტალინის პარტიის ღირსეული თანამებრძოლნი, მთელი ჩვენი ძალა მოვახმაროთ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის საბოლოო გამარჯვებისათვის ბრძოლას. ჩვენთან ერთადაა კომკავშირელთა მრავალმილიონიანი არმია, მთელი საბჭოთა ახალგაზრდობა.

გუშინ ჩვენ ტელეგრაფით გვაცნობეს, რომ საქართველოს ქალაქებში — თბილისში, სოხუმში, ქუთაისში, ბათუმში, ტყვარჩელში, რუსთავში და სხვ. შედგა საკავშირო ალკკ XI ყრილობის გახსნისადმი მიძღვნილი მიტინგები. ამ მიტინგებზე ახალგაზრდობამ შეაჯამა ყრილობის აღსანიშნავ შეჯიბრებაში ნაკისრი ვალდებულებათა შესრულება და ახალი ვალდებულებები იკისრა კომკავშირის ყრილობის საბნსის აღსანიშნავად. 29 მარტს 4.000-მდე ახალგაზრდა მუშა დადგა სტახანოვურ ვახტზე და დღიური დავალება ორმაგად შესრულა; 1.500-ზე მეტმა კაცმა შესრულა სამნახევარმდე ნორმა; 230 კაცმა გამოიმუშავა ხუთ-ხუთი ნორმა; ბევრმა სტახანოველმა — უფრო მეტი. ეს ჩვენი ახალგაზრდობის პატრიოტიზმის, ლენინურ-სტალინური კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარშემო, ბოლშევიკური პარტიისა და ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის გარშემო მისი დარაზმულობის ახალი, მკაფიო დადასტურებაა. (ტაში).

კომკავშირის, მთელი საბჭოთა კავშირის ახალგაზრდობის მიერ მიღწეული წარმატებანი შედგება ბოლშევიკური აღზრდისა, რასაც ყოველდღიურად ახორციელებს კომუნისტური პარტია, შედეგია საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის სწორი ხელმძღვანელობისა, რომელიც რაზმავს ჭაბუკებსა და ქალიშვილებს ჩვენი პარტიის მიერ დასახული ყველა ამოცანის შესასრულებლად.

საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტი, ხელმძღვანელობს რა ბოლშევიკური პარტიის მითითებებით, მოითხოვს, რომ კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ყოველმხრივ გააუმჯობესონ ახალგაზრდობის პოლიტიკური განათლება, აამაღლონ მისი ზოგადი განათლების დონე, ყოველდღიურად განიხილონ მისი ფიზიკური აღზრდის საკითხები, აღზარდონ ჭაბუკები და ქალიშვილები საბჭოთა პატრიოტიზმის სულისკვეთებით, სამშობლოსადმი, ლენინ-სტალინის დიადი პარტიისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით.

ჩვენს კომკავშირელებს, მთელ საბჭოთა ახალგაზრდობას ესმით, რომ სამშობლოს უმაღლესი აყვავება, ჩვენი ქვეყნის ხალხთა მატერიალური კეთილდღეობის განუწყვეტელი გაუმჯობესება შედეგია ბოლშევიკური პარტიის, მთელი მსოფლიოს მშრომელთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის ბრძნული პოლიტიკისა. (ტაში).

ჩვენმა ბოლშევიკურმა პარტიამ გამოზარდა ახალგაზრდა პატრიოტთა შესანიშნავი თაობა, ძველი გვარდიის ღირსეული ცვლა. და ახლა, როცა საბჭოთა ადამიანები უდიდესი ენთუზიაზმით იბრძვიან ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის განხორციელებისათვის, ახალგაზრდობა ამოაკლებს შრომითს საგმირო საქმეებს, დიდი წვლილი შეაქვს საყოველთაო-სახალხო საქმეში.

საქართველოს მშრომელებმა ომისშემდგომ პერიოდში შესანიშნავ წარმატებებს მიაღწიეს. ომისშემდგომი ხუთწლედის პირველი სამი წლის გეგმა რესპუბლიკამ 112,2 პროცენტით შესრულა. საქართველოს მრეწველობის საერთო პროდუქციამ 1948 წელს 29,5 პროცენტით გადააჭარბა 1940 წლის დონეს. ომისშემდგომ პერიოდში არ ყოფილა შემთხვევა, რომ საქართველოს მრავალფეროვან სოფლის მეურნეობას გადაჭარბებით არ შეესრულებინოს საკავშირო მთავრობისა და საკავშირო კ. ბ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ყველა დავალება სოფლის მეურნეობის დარგში. ყოველივე ამაში ცოტა დამსახურება როდი მიუძღვის საქართველოს კომკავშირსაც.

ახორციელებდნენ რა საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის XV პლენუმის დადგენილებას, რესპუბლიკის კომკავშირულმა ორგანიზაციებმა დარაზმეს ახალგაზრდობა ომისშემდგომი სტალინური ხუთწლიანი გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესასრულებლად.

დიდი ოქტომბრის 30-ე წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის შეჯიბრებაში ახალგაზრდა მუშების 67 პროცენტმა 1947 წლის 7 ნოემბრისათვის შეასრულა წლიური ნორმები. ლენინ-სტალინური კომკავშირის 30-ე წლისთავისათვის მზადებამ რესპუბლიკის ახალგაზრდობაში შრომითი ენთუზიაზმის ახალი ტალღა გამოიწვია. მაგალითად, 1948 წლის შუა ნოემბერში ახალგაზრდა მუშების 70-მდე პროცენტმა შეასრულა წლიური დავალება, ხოლო ასობით ახალგაზრდა სტახანოველი უკვე იმ დროს უშვებდა პროდუქციას 1951-1952 წლების ანგარიშში. თბილისის დაზგათმშენებელი ქარხნის ახალგაზრდა მუშამ ამხ. ზარქუამ, მანქანათმშენებელი ქარხნის ზენინკალმა ამხ. მარდალიშვილმა და ბევრმა სხვამ შეასრულეს თავიანთი ათწლიანი საწარმოო ნორმები.

საკავშირო ალკკ XI ყრილობის აღსანიშნავად მარტო თბილისის მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოთა კომკავშირელებმა და ახალგაზრდებმა ვეგმის გადაჭარბებით გამოუშვეს 165 დაზგა, 30.000 კილოგრამი ნართი, 85.000 მეტრი სხვადასხვა ქსოვილი, შეაგროვეს 650 ტონა შავი და 20 ტონა ფერადი ლითონის ჯართი, შეაკეთეს 12 ორთქმავალი.

სტახანოველ ალექსანდრე ხუტკიხის პატრიოტული თაოსნობის საპასუხოდ საქართველოს ქარხნებსა და ფაბრიკებში ფართოდ გაჩაღდა ბრძოლა საუკეთესო ხარისხის პროდუქციის გამოშვებისათვის. თითქმის ყველა საწარმოში შექმნილია საუკეთესო ხარისხის ახალგაზრდული ბრიგადები. თბილისის კამეო-მაუდის ფაბრიკის ახალგაზრდულმა ბრიგადამ, რომელსაც მეთაურობს ჩვენი ყრილობის დელეგატი კომკავშირის კომიტეტის მდივანი გ. ხითოროძე, თებერვალში გამოუშვა 99,8 პროცენტი პირველი ხარისხის პროდუქცია. თბილისის სამკერვალო ფაბრიკის ახალგაზრდული ბრიგადა, რომელსაც კომკავშირელი თ. ებრამი შეიალი მეთაურობს, რამდენიმე თვე ზედიზედ უშვებს მაღალხარისხოვან პროდუქციას. შეიძლება ბევრი მოვიყვანოთ მაგალითები, რომლებიც მოწმობენ საქართველოს ახალგაზრდა საწარმოო მუშაკთა შრომითს ალმაღლებას.

დიდ მუშაობას ეწევა საქართველოს კომკავშირი მთელი ამიერკავკასიის უდიდესი ახალშენებლობის — რუსთავის მეტალურგიული ქარხნისადმი შეფობის მხრივ. ამ ქარხნის ახალგაზრდა მუშებისათვის შეგროვდა 50 ათასზე მეტი სხვადასხვა წიგნი. საქართველოს მეტალურგთა ქალაქის საფბრიკო-სანქარხნო სწავლების ადგილობრივი სკოლებმა, მუშა ახალგაზრდობის საღამოს სკოლებმა, საშუალო სკოლებმა თბილისის კომკავშირული ორგანიზაციებისაგან საჩუქრად მიიღეს სასწავლო ხელსაწყობები, სასპორტო ინვენტარი, მუსიკალური ინსტრუმენტები და ბევრი სხვა რამ. კომკავშირის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების მუშაკებმა 165 ლექცია და მოხსენება მოაწყეს რუსთავის ახალგაზრდობისათვის. ახლა მოწყობილია ლექციებისა და მოხსენებების ციკლი ტექნიკის საკითხებზე. მათ წასაკითხად მოწვეული არიან გამოჩენილი მეცნიერები, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრები ამხანაგები ა. თვალჭრელიძე, ზავრიევი, დიდებულიძე და სხვები. ესტრადის საუკეთესო ოსტატები, საწარმოთა, დაწესებულებათა, ინსტიტუტებისა და სკოლების მხატვრული თვითმოქმედების წრეები ხშირად მიდიან რუსთავში ახალგაზრდობის კულტურული მომსახურებისათვის. აფხაზეთის კომკავშირელებმა რუსთავის გასამწვანებლად გაგზავნეს 10 ათასი ნერგი. სოფლის ქალიშვილებსა და ჭაბუკებს ჭვიდრო კავშირი აქვთ რუსთავის ახალგაზრდობასთან. მათ საჩუქრად გაუგზავნეს 70 ტონაზე მეტი ახალი ხილი და ბოსტნეული.

რუსთავის ახალგაზრდა მეტალურგები და მშენებლები ახალი შრომითი წარმატებებით უპასუხებენ ამ ზრუნვასა და ყურადღებას. ქარხანაში არის არც ერთი ახალგაზრდა მუშა, რომელიც თავის ნორმას 120 პროცენტზე ნაკლებ ასრულებდეს. პირველი მარტისთვის ქარხნის მეტმა წილმა მუშებმა დაამთავრეს კვარტალური გეგმა. რუსთავის ახალგაზრდობამ გადაწყვიტა არასამუშაო დროს თავისი ძალებით ააგოს საბავშვო ტექნიკური სადგური. ეს ვალდებულება მან იკისრა საკავშირო ალკკ XI ყრილობის აღსანიშნავად.

საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილების შესაბამისად საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციები სათავეში ჩაუდგნენ სოფლის ახალგაზრდობას და დარაზმეს მისი ძალები საკავშირო კ. ბ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის ისტორიული გადაწყვეტილების წარმატებით შესასრულებლად.

კოლმეურნეობათა დიდ უმრავლესობაში შექმნილა უხვი მოსავლის ახალ გაზრდელმა ბრიგადებმა 1947 წელს მოსავლიანობის გეგმა 150 პროცენტით შეასრულეს. მთავრობამ მაღალი შეფასება მისცა საქართველოს სოფლის ახალგაზრდობის დამსახურებას. რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა შორის, რომლებიც 1947 წელს უხვი მოსავლის მიღებისათვის დაჯილდოებულნი არიან ორდენებითა და მედლებით, ცოტა როდია ახალგაზრდობა. 25 ახალგაზრდა კოლმეურნეს, რომელთა შორის 22 კაცი საკავშირო ალკკ წევრია, მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება, 43 ახალგაზრდა კოლმეურნე დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, 68 — შრომის წითელი დროშის ორდენით, 64 — მედლებით.

უფრო მაღალ შრომითს მაჩვენებლებს მიაღწია საქართველოს სოფლის ახალგაზრდობამ 1948 წელს. 1.100 ტონა მწვანე ჩაის ფოთლიდან, რაც სახელმწიფოს ჩაბარეს ბათუმის რაონის კოლმეურნეებმა, 780 ტონა მოკრეფილია ახალგაზრდობის ხელით. 192 მილიონი ცალი ციტრუსოვანთა ნაყოფი მისცა ჩვენს ქვეყანას მარტო აჭარის ახალგაზრდობამ. ზუგდიდის რაონის საყოლეურნეო კომკავშირელთა ორგანიზაციის მდივანმა ამხ. ყუფუნიამ თავისი ოჯახის ხუთ წევრთან ერთად, რომელთაგან სამი კომკავშირელია, 2.561 შრომადღე გამოიმუშავა. მარტო ნაღდ ფულად ყუფუნიას ოჯახმა მიიღო 75.000 მანეთი, აგრეთვე 7.800 კილოგრამი მარცვლეული და ბევრი სხვა პროდუქტი. სიმინდის სარეკორდო მოსავალი — ჰექტარზე 140 ცენტნერი — მიიღო კომკავშირელმა შოთა მარკელიამ, 112,7 ცენტნერი ჩამინდი მიიღო სტახანოველ ჰეტარზე ჰექტარზე კომკავშირელმა შონიამ. თუ რამდენად მნიშვნელოვანია სოციალისტური სოფლის ახალგაზრდა მშრომელთა მიღწევები, ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ ძარტო ქობულეთის რაიონში 74 ჭაბუკმა და ქალიშვილმა, რომელთა შორის 35 კომკავშირელია, მიიღო ისეთი მოსავალი, რომელიც უფლებას იძლევა სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდების მისაღებად, ხოლო 120-მა — ორდენებისა და მედლების მისაღებად.

ეჭვი არ არის, სოფლის ახალგაზრდა მშრომელნი უფრო მაღალ შედეგს მიაღწევენენ, ჩვენ რომ კარგად გვქონდეს დაყენებული აგროტექნიკური და ზოოტექნიკური სწავლა. ამისათვის საჭიროა, რომ აგროტექნიკურ წრეებს ჰქონდეთ გულდასმით შემუშავებული პროგრამები, საკმაო რაოდენობის ლიტერატურა. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს უხვი მოსავლის ოსტატთა მოწინავე მიჩურინელთა გამოცდილების ფართო პროპაგანდას სათანადო ლიტერატურის გამოცემის გზით.

საქართველოს კომკავშირელები და ახალგაზრდობა პრაქტიკულ დახმარებას უწევენ ძვირფასი სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურების გაფრცელების ახალ რაიონებს. ბათუმის რაიონის ვორობლევის სახელობის კოლმეურნეობის ახალგაზრდა მეცატრუსეები აქტიურად მონაწილეობდნენ ადლერის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობისათვის მანდარინის 10.000 ნერგის დამზადებასა და გაგზავნაში. ახლა სხვა რესპუბლიკებში გასაგზავნად ამ კოლმეურნეობაში ზრდიან ციტრუსოვანთა ნერგების ახალ პარტიას 56.000 ძირის რაოდენობით, აქედან 10.000 ფორთოხლის და 10.000 ევკალიპტის ნერგია. ახალ ადგილებში სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურების წარმატებით გაშენებისათვის საჭიროა ამ რაიონების კოლმეურნეებს გაეაცნოთ სოციალისტური შრომის გმირთა—საქართველოს სუბტროპიკული რაიონების მოწინავეთა გამოცდილება. ამ მიზნით სასურველი იქნებოდა, რომ ბროშურებსა და წიგნებში გაბვეზოგადებინა მოწინავე გამოცდილება და გამოგვეცა სსრ კავშირის იმ ხალხთა ენებზე, რომლებიც ჩვენი სამშობლოს სამხრეთ რაიონებში ცხოვრობენ.

საქართველოს კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, რომლებიც კომკავშირის უმნიშვნელოვანეს ამოცანად თვლიან ახალგაზრდობის იდეურ-პოლიტიკურ აღზრდას, თავიანთ მუშაობას საფუძვლად დაუდეს საკავშირო კ. ბ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ისტორიული დადგენილებანი იდეოლოგიურ საკითხებზე და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებანი.

ამ უკანასკნელ პერიოდში ჩვენ გარკვეულ წარმატებებს მივიღწიეთ. 1948 წელს პოლიტიკური განათლების ქსელი 1946 წელთან შედარებით ერთისამად და უფრო მეტად გაიზარდა, ხოლო 1947 წელთან შედარებით — ერთიორად. გაუმჯობესდა პროპაგანდისტთა შემადგენლობა. პროპაგანდისტთა შორის 36 პროცენტს აქვს უმაღლესი განათლება, უმრავლესობას — დაუთავრებელი უმაღლესი და მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილს — საშუალო განათლება. მიმდინარე სასწავლო წელს დიდი ყურადღება ექცევა ლექციებისა და მოხსენებების მოწყობას ბოლშევიკური პარტიის ისტორიასა და თეორიაზე, აქტუალურ პოლიტიკურ თემებზე, მეცნიერების, ტექნიკის ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე. 1948 წლის დამლევიდან თბილისში ეწყობა კითხვა დიდი ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის შესახებ. ქალაქ ქუთაისში, სადაც დიდი სავტომობილო ქარხანა შენდება, ახალგაზრდობისათვის მოწყობილია ლექციების ციკლი მანქანათმშენებლობის შესახებ. ქალაქ გორში ამ დღეებში დაიწყება მინერალური კითხვა. მცხეთის რაიონის ახალგაზრდობისათვის მოეწყო ლექციების ციკლი ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი სისტემატურად უგზავნის კომკავშირის საქალაქო და რაიონული კომიტეტების მომხსენებელთა ჯგუფებს ლექციების სტენოგრამებს ახალ გაზრდობისათვის საინტერესო თემებზე. საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ლექტორთა ჯგუფმა მომავე მოკავშირე რესპუბლიკების კომკავშირულ ორგანიზაციებს გაუგზავნა ლექციები რუსთავის მეტალურგიული ქარხნის შესახებ, საქართველოს თანამედროვე საბჭოთა პოეტების გ. ლეონიძისა და ს. ჩიქოვანის შემოქმედების შესახებ. სასურველი იქნება, თუ სხვა რესპუბლიკების კომკავშირული ორგანიზაციებიც გამოგზავნიან მასალებს, რომლებიც საქართველოს ახალგაზრდობას გაიცნობს ხუთწლედის ახალ მშენებლობებს, ენრნილ ადამიანებს, ჩვენი სამშობლოს მომძმე ხალხების მეცნიერებისა და კულტურის მიღწევებს.

კომკავშირელთა და ახალგაზრდობის პოლიტიკური განათლების დაყენებაში რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციების მიერ მიღწეულ წარმატებებთან ერთად ამ საქმეში ჯერ კიდევ არის არსებითი ნაკლოვანებანი. პოლიტიკურ სწავლაში ჩაბმულია კომკავშირელთა მხოლოდ 55 პროცენტი. განსაკუთრებით სუსტად არის ჩაბმული პოლიტბიკლუბებში ის ახალგაზრდობა, რომელიც საკავშირო ალკკ-ში არ არის. იგი შეადგენს კომკავშირული პოლიტსწავლებისა და წრეების მსმენელთა მხოლოდ 14 პროცენტს.

ცნობილია, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს ლიტერატურასა და ხელოვნებას ახალგაზრდობის იდეოლოგიურ აღზრდაში. ხელმძღვანელი კომკავშირული ორგანიზაციები მოვალენი არიან იზრუნონ იმისათვის, რომ უზრუნველყონ ჭაბუკები და ქალიშვილები მაღალიდეური, მაღალმხატვრული ლიტერატურით, რომელიც ახალგაზრდობას აღზრდის საბჭოთა ეროვნული სიამაყის, სოციალისტური სამშობლოსადმი, ლენინ-სტალინის დიადი პარტიისადმი სიყვარულისა და ერთგულების სულისკვეთებით. მოკავშირე რესპუბლიკების კომკავშირული ორგანიზაციები ფართოდ ფიქრობენ ამ ამოცანის განხორციელებას, მათ განკარგულებაში რომ იყოს ახალგაზრდული გამომცემლობანი. წარსულ ი საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტს ჰქონდა ასეთი გამომცემლობა, მაგრამ ჯერ კიდევ ომამდე იგი რატომღაც განთლების სამინისტროს გადაეცა. 1948 წლის შემოდგომაზე საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი დათანხმდა, რომ რესპუბლიკური საბავშო გამომცემლობა გადაეცემოდა საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტს. ჩვენ ვთხოვეთ საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტს ნება დაერთო მიგვეღო გამომცემლობა, მაგრამ უკვე ექვსი თვე გავიდა და პასუხი ჯერ არ არის.

საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციის პროპაგანდისტული და მთელი მუშაობის გაუმჯობესებისაბს ბევრად შეუწყობდა ხელს ახალგაზრდული საოლქო გაზეთების აღდგენა, რომლებიც ომამდე გამოდიოდა ბათუმსა და სოხუმში, აგრეთვე რესპუბლიკური ახალგაზრდული გაზეთების პერიოდულობისა და ტირაჟის გადიდება.

საქართველოს კომკავშირი დიდ ყურადღებას აქცევს ახალგაზრდობის ფიზიკურ აღზრდას. შარშან რესპუბლიკის კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ფართოდ გაიაღეს სოციალისტური შეჯიბრება ფიზკულტურულ-მასობრივი მუშაობის უკეთ მოწყობისათვის და იკისრეს მთელი რიგი კონკრეტული ვალდებულებანი. ეს ვალდებულებანი ღირსეულად შესრულდა. საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით საქართველოს კომკავშირულ ორგანიზაციას მიენიჭა საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

მიმდინარე წელს აღებულია ახალი გადიდებული ვალდებულებანი, რომლებიც ითვალისწინებენ მასობრივი ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომ განვითარებას, მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის გაუმჯობესებას, აგრეთვე სპორტსმენთა ახალი კადრების აღზრდას, რომელთაგან უნარი ექნება დაამყაროონ ახალი საკავშირო და საერთაშორისო რეკორდები. საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა რესპუბლიკურ კომიტეტთან ერთად წელს ყველა სახის სპორტის მწვრთნელთ მიაგრა ყველაზე ნიჭიერი, იმედის მომცემი ახალგაზრდობის ჯგუფები, რომ ვამოიზარდონ ახალი რეკორდსმენები. ამას წინათ ჩვენ მოვაწყეთ ამ მწვრთნელების თათბირი, მათ ერთმანეთს გაუზიარეს მუშაობის გამოცდილება და წამოაყენეს მთელი რიგი ძვირფასი წინადადებანი.

ახორციელებდნენ რა საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის XII და XVI პლენუმების გადაწყვეტილებებს, საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციები სისტემატურად იხილავდნენ სტუდენტი ახალგაზრდობის, საშუალო სკოლებისა და ტექნიკუმების მოსწავლეთა ცხოვრებისა და სწავლის საკითხებს. უკანასკნელი წლების მანძილზე მნიშვნელოვნად გაიზარდა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა, განსაკუთრებით კომკავშირელთა სასწავლო წარმატება. მიმდინარე წლის პირველი სემესტრის შედეგები ცხადყოფენ, რომ სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა წარმატება შეადგენს 90 პროცენტს, სამედიცინო ინსტიტუტისა — 89,4 პროცენტს. მნიშვნელოვნად გაიზარდა სტუდენტი ახალგაზრდობის ლტოლვა მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების დაუფლებისაკენ.

დიდი ყურადღება ექცევა სტუდენტთა სამეცნიერო წრეებისა და სამეცნიერო საზოგადოებათა მუშაობას. საკავშირო ალკკ 30-ე წლისთავთან დაკავშირებით რესპუბლიკის ყველა უმაღლესს სასწავლებელში მოეწყო მეცნიერული და თეორიული კონფერენციები. სამტომად გამოქვეყნდა თბილისის სტუდენტთა მეორე საქალაქო კონფერენციის მონაწილეთა საუკეთესო ნაშრომების კრებული. ამას წინათ კომკავშირის საქალაქო კომიტეტის ინიციატივით მოეწყო თბილისის უმაღლესი სასწავლებლებისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტების ასპირანტთა პირველი საქალაქო მეცნიერული კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა საკავშირო ალკკ XI ყრილობას. კონფერენციაზე წაკითხულ იქნა 53 მეცნიერული მოხსენება. ზოგიერთი ეს ნაშრომი დიდ ინტერესს წარმოადგენს სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების შემდგომი განვითარების მთელ რიგ საკითხთა გადასაჭრელად.

უკანასკელი წლების მანძილზე მნიშვნელოვანი მუშაობა ჩატარდა კომკავშირული ორგანიზაციების ორგანიზაციულ-პოლიტიკური განმტკიცებისა და საკავშირო ალკკ რიგების ზრდის დარგში. კომკავშირის წევრებად ვიღებდით მოწინავე ახალგაზრდა მუშებს, სოფლისა და მოსწავლე ახალგაზრდობას. 1948 წლის განმავლობაში შეიქმნა 638 პირველადი კომკავშირული ორგანიზაცია, რომელთაგან 69 საკოლმეურნეოა. მიმდინარე წლის 1 მარტისათვის რესპუბლიკაში ითვლებოდა 258.266 კომკავშირელი.

რამდენიმე სიტყვა აღრიცხვის შესახებ. უნდა ვაღიაროთო, რომ კომკავშირელთა აღრიცხვაში ჩვენ ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებანი გვაქვს. ვფიქრობ, რომ კომკავშირული აღრიცხვის უკეთ დაყენებისათვის საჭიროა კომკავშირის რაიკომებისა და საქალაქო კომიტეტების აღრიცხვის სექტორების შტატები დაწესებისას გათვალისწინებულ იქნას რაიონის, ქალაქის კომკავშირელთა რაოდენობა და მათი მუშაობის თავისებურებანი. საქმის ინტერესისათვის საჭიროა იაკობლევის კომკავშირელებისათვის საღრიცხვო ბარათების ხელზე მიცემა.

ჩვენ ბევრი გვყავს ისეთი კომკავშირელები, რომლებიც დაუსწრებელად სწავლობენ უმაღლეს სასწავლებლებში და არსად არ მუშაობენ. მარტო საკავშირო იურიდიული ინსტიტუტის თბილისის ფილიალში რიცხება 645 კომკავშირელი დაუსწრებელი სტუდენტი, რომელთა უმრავლესობა არსად არ მუშაობს. ასეთ კომკავშირელებს ჩვენ აღრიცხვაზე ვიღებთ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. დაუსწრებელ სტუდენტებს ვამაგრებთ მცირერიცხოვან პირველად ორგანიზაციებს, რომლებშიც 3-4 კომკავშირელი რიცხება. ძალიან ხშირად მიმავრებული ამხანაგების რაოდენობა 4-5-ჯერ სჭარბობს ასეთი ორგანიზაციების შემადგენლობას. ეს ხელს უშლის კომკავშირული კრებების მოწვევას, ორგანიზაციისათვის დამახასიათებელი საკითხების განხილვას. და რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია, — ახალგაზრდობა, რომელიც დაუსწრებლად სწავლობს და არსად არ მუშაობს, მოკლებულია ინსტიტუტის რეკომენდა და ფაქტიურად დარჩენილია ყოველგვარი საზოგადოებრივი გავლენის გარეშე. ეფიქრობთ, რომ დაუსწრებელ უმაღლეს სასწავლებელში უნდა სწავლობდეს მხოლოდ ის, ვინც ადგილ მუშაობს.

ამხანაგებო! საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებანი ჩვენთვის სახელმძღვანელოა მუშაობაში. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის აპარატის ზოგიერთი მუშაკები ივიწყებენ, რომ მათ მითითებებს ადგილებზე იღებენ როგორც ცენტრალური კომიტეტის მითითებებს და ზოგჯერ მოითხოვენ საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის სათანადო გადაწყვეტილების უქონლად ისეთი ღონისძიებების განხორციელებას, რომელიც ეწინააღმდეგებიან არსებულ დადგენილებებს. 1948 წლის დეკემბერში ჩვენ ტელეფონით წინადადება მოგვეცა შეგვეცალა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის აპარატის სტრუქტურა, ხოლო ათი დღის შემდეგ საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა სპეციალური გადაწყვეტილება გამოიტანა მოკავშირე რესპუბლიკების კომკავშირის ცენტრალური კომიტეტების აპარატის არსებული სტრუქტურის დატოვების შესახებ. სამწუხაროდ, ასეთი ფაქტები ერთეული როდია.

ეჭვი არ მეპარება, რომ საქართველოს კომკავშირის საქმიანობა გაიღლება უფრო ნაყოფიერი იქნებოდა, ჩვენ რომ შესაძლებლობა გვქონდეს ფართოდ გაეუზიარომ მუშობის გამოცდილება მომმე მოკავშირე რესპუბლიკების კომკავშირულ ორგანიზაციებს, უკეთ რომ ვიცნობდეთ მათ ცხოვრებას და ჩვენი თვალუწვდენელი საბჭოთა კავშირის კომკავშირელთა, ჭაბუკებისა და ქალიშვილების სახელოვან პატრიოტულ საქმეებს.

თავისი არსებობ

გორკის დღეები საქართველოში

დიმიტროვის სახელობის ქარხანა

ცვლამ მუშაობა დაამთავრა. სამსხმელო-სამეფოლო საამქროს წითელ კუთხეში მუშები შეიკრიბნენ. აქ არიან საამქროს სტახანოველები ი. ცურაბაშვილი, შ. ჩომახიშვილი, ს. საფაროვი, გ. გოჩიაშვილი, შ. ოქიტაშვილი, შ. ჭოხონელიძე და სხვები. ისინი თვალიერებენ ჟურნალ-გაზეთებსა და ლიტერატურას. მუშების ყურადღება მიიპყრო გაზეთი „პრავდის“ უკანასკნელ ნომრებში გამოქვეყნებულმა მასალებმა დიდი საბჭოთა მწერლის ალექსი მაქსიმეს-ძე გორკის შესახებ. ისინი ჯგუფ-ჯგუფად კითხულობდნენ გორკის შესანიშნავ ნაწარმოებებს.

წითელ კუთხეში აგიტატორი შემოვიდა. მუშები მის გარშემო შეიკრიბნენ. თავისი მორიგი საუბარი აგიტატორმა სწორედ გორკის დაბადების 81 წლისთავს მიუძღვნა. მან მოკლედ მოუთხრო მსმენელებს მაქსიმ გორკის ბიოგრაფია.

მაქსიმ გორკი, — ამბობს აგიტატორი, — გენიალური მწერალი იყო. არავის ასე არ დაუხატავს ჩაგრული ადამიანთა ცხოვრება კაპიტალიზმის დროს ყველა მისი საშინელებით, ასე მარილად არ უჩვენებია მეფის რუსეთის ხალხთა დაბალი ფენების ცხოვრება, როგორც ეს გორკიმ დაგვიხატა თავის უკვდავ მხატვრულ ნაწარმოებებში.

გორკი იბრძოდა ქვეყნის რევოლუციური გზით გარდაქმნისათვის. ის იყო ლენინისა და სტალინის თანამებრძოლი. გორკი მთელი თავისი მგზნებარებით იბრძოდა იმპერიალისტ მძარცველთა წინააღმდეგ.

აგიტატორმა გაზეთი გაშალა და დამსწრეთ წაუკითხა ნაწყვეტები გორკის ნაწარმოებებიდან — „ყვითელი ეშმაკის ქალაქი“, „დედა“.

შემდეგ გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა გორკის ნაწარმოებთა გარშემო. მუშები თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, თუ ვის მეტი წაუკითხავს გორკის ნაწერები. სტახანოველმა მდინარემ ამბ. შ. ჩომახიშვილმა თქვა:

— მე მიყვარს მაქსიმ გორკის ნაწარმოებები. გორკის თითქმის ყველა ნაწარმოები წამიკითხავს და ახლაც სიამოვნებით გადავიკითხავ ხოლმე. გორკი საუკეთესოდ გამოხატავდა მუშათა კლასის მისწრაფებებს, ინტერესებს. ჩვენ მოვიპოვეთ ის, რისთვისაც გორკის ნაწარმოებთა გმირები იბრძოდნენ, ჩვენ ავაშენეთ თავისუფალი სოციალისტური ცხოვრება.

— მაქსიმ გორკის ნაწარმოები, — ამბობს ინჟინერი ამბ. ს. ჯაფარიძე, — „ყვითელი ეშმაკის ქალაქი“ მშვენივრად გვიხატავს ნიუ-იორკის ცხოვრებას, სადაც ერთეულები — მილიონერები განცხრომით ცხოვრობენ, მათ გვერდით კი ათასობით უმუშევარი მშრომელი აუტანელ ვაჭირვებაშია, შიმშილით განაწამები ბავშვები სანაგვე ყუთებში იჩიჩქნებიან. ასეთია ყბადაღებული ამერიკული „დემოკრატია“.

ქარხნის პარტკომიტეტში მოწყობილია მაქსიმ გორკის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი გამოფენა. კედელს აშშვენებს გორკის დიდი ფორტრეტი, გვერდით არის სურათები: „ვ. ლენინი და მ. გორკი ეიზი“, „მ. გორკი ამხაგაგს — სტალინს, მოლოტოვს და ვოროშილოვს უკითხავს თავის ნაწარმოებს „ჭალიშვილი და სიკვდილი“. გამოფენილია გორკის ნაწარმოებნი: „დედა“, „სიმღერა შევარდენზე“, რჩეული ნაწერების კრებული, „ალიმ სამგალის ცხოვრების“ ოთხთე ტომი, „არტამონოვების საქმე“...

გამოკრულია სარეკომენდაციო თემატიკა აგიტპროპრებისათვის, თუ რა საკითხზე მოაწყონ საუბრები გორკის დღეებთან დაკავშირებით.

ქირუკის სახელობის ქარხანა

— ბედუკეთილმართი და დუხჭირი ცხოვრების დიდი გზა განვლო გენიალურმა მწერალმა ალექსი მაქსიმეს-ძე გორკიმ. ჯერ კიდევ ბავშვობიდანვე მას ლუკმა-პურისათვის მოუხდა ემუშავნა მოჯამაგრედ, მტვირთავად, მღებავად, აღებანის სისასტიკე და დამცირება, რაც მშრომელი ადამიანის ხვედრი იყო ცარიზმის დროს. დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ მაქსიმ გორკის იდეების გამარჯვება მოუტანა. გაიმარჯვა ის ხალხმა, რომლის ხვედრსა და მომავალზე ფიქრობდა და წერდა გორკი, — განაცხადა თავისი საუბრის შესავალში თბილისის კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის № 1 საამქროში აგიტატორმა ი. ხუხაშ.

აგიტატორი მსმენელებს დამაჯერებლად და შინაარსიანად ესაუბრა საბჭოთა ლიტერატურის ფუძემდებლის, მხატვრული სიტყვის შეუდარებელი ოსტატის გორკის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე.

—მაქსიმ გორკი, — თქვა მან, — თავისი უკვდავი ნაწარმოებებით მშრომელებს რაზმავდა ექსპლოატატორთა წინააღმდეგ. გორკი უმღეროდა „ქვედა ფენების“ თავისუფლების საქმეს და ქმნიდა ახალი ადამიანების უკვდავ სახეებს, რომელთა მაგალითებზე სწავლობდა მილიონობით მშრომელი. გორკი უყვარდა და უყვარს ჩვენს ხალხს, ჩვენს სახელოვან პარტიას. ლენინი და სტალინი ნდობად აფასებენ მაქსიმ გორკის ღვაწლს ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ხალხთა თავისუფლების მოპოვებისათვის ბრძოლაში. გორკი,—გვასწავლის ლენინი, — „უდიდესი მხატვრული ნიჭია, რომელსაც ბევრი სარგებლობა მოუტანა და მოუტანს მსოფლიო პროლეტარულ მოძრაობას“.

— მე კარგად ვიცნობ გორკის ნაწარმოებებს, — თქვა № 4 საამქროს ორგზის ორდენოსანმა მუშამ ს. დოროფეევმა,—ყოველთვის მიზიდავდა მათი შინაარსი, მხატვრული სისადავე. მე ხელმეორედ გადავიკითხე გაზეთ „პრავდაში“ ამ ბოლო დროს გამოქვეყნებული ნაწყვეტები გორკის ნაწარმოებებიდან. ამ დღეებში გაზეთ „პრავდაში“ წაკითხეს აგრეთვე გორკის ტრადიციებზე აღზრდილი საბჭოთა მწერლის ა. ფადეევის სიტყვა მშვიდობის დაცვისათვის ამერიკის შეერთებული შტატების მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეთა კონგრესზე. აი ის ქალაქი და ხალხი, რომელზეც წაწერა მაქსიმ გორკიმ თავისი მშვენიერი ნაწარმოები „ყვითელი ეშმაკის ქალაქი“. ამ ქალაქში ახლა აგრესორები აკოწიწებენ მშვიდობის საწინააღმდეგო გეგმებს, ცდილობენ გააჩაღონ ახალი ომი.

ამ ქალაქში გაისმა დღეს საბჭოთა მწერლის ფადეევის სიტყვა, რომელიც მოუწოდებს ამერიკელ ხალხს მშვიდობის დაცვისაკენ.

ჩვენ ვიბრძვით მშვიდობისათვის, ვზრდით ხალხთა თავისუფლებისა და კეთილდღეობის ბურჯიც — საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერებას, ამ სახელმწიფოს ძლიერებას, რომლის აშენებაში დიდი ღვაწლი აქვს შეტანილი ჩვენს საყვარელ მწერალს, უდიდეს ხელოვანს მაქსიმ გორკის — ამ სიტყვებით დაასრულა თავისი გამოსვლა ამხ. დოროფეევმა.

ახალგაზრდა მუშებმა ზეინკალმა გ. ნარიმანიძემ და მჭედელმა ი. აფციაურმა განაცხადეს: ჩვენ გვიბიძავს სახელოვანი მწერლის მაქსიმ გორკის ლიტერატურული მემკვიდრეობა. საბჭოთა ახალგაზრდების ღირსების საქმეა იკითხოს და შეისწავლოს გორკის ნაწარმოებნი.

ლამაზდება საკოლმეურნეო სოფელი

სტალინირი. (საკ. კორ.). დიდი ძარწმეთის კოლმეურნეობის წევრები უკანასკნელ ხანებში ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან თავიანთი სოფლის კეთილმოსაწყობად. კოლმეურნეებმა გაწმინდეს სოფლის ქუჩები. აშენდა ახალი შენობა კოლმეურნეობის კანტორისათვის, აქვე მოეწყო რადიომიმღები. ყველა კოლმეურნის სახლს ანათებს ელექტრონათურა. მოეწყო ელექტროწისქვილი. აგებულ იქნა აგრეთვე 6 საკოლმეურნეო შენობა.

სტახანოველმა კოლმეურნეებმა ილია მაისურაძემ, არჩილ გოგიძემ, შალვა მაისურაძემ, დიმიტრი გოგიძემ და სხვებმა აიშენეს ახალი სახლები.

მეხიდე მიჩურინელი

ახმეტა. (საეც. კორ.). სოფელ ოქიოში ცხოვრობს საუკეთესო მეხილე მიჩურინელი თომა ნახუცრიშვილი. იგი 30 წელია, რაც მუშაობს მეხილეობის დარგში. ამ ხიის განმავლობაში ამბ. ნახუცრიშვილს თავის მუშაობაში მრავალი პრაქტიკული საკითხი გადაუჭრია და გამოუყვანია ხილის ახალი ჯიშები.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მის მიერ გამოყვანილი ვაშლის ახალი ჯარგამლილ ჯიში. ამ ჯიშის ღირსება ის არის, რომ მას არ აზიანებს ქარი და მთელ ნაყოფს ინარჩუნებს. ამავე დროს ვაშლი კარგად ისხამს და ნაყოფი დიდხანს ინახება. თ. ნახუცრიშვილმა კვრინჩხეზე ატმის დამყნობით გამოიყვანა აგრეთვე ატმის ახალი სახე, რომელიც ჩვეულებრივ ატამზე უფრო მეტს ისხამს. მან შეარჩია სპეციალური ვაშლისა და მსხლის ჯიშები, რომლებიც იატანენ მთათუშეთის ჰავას.

სოფელ ოქიოს ბერიოს სახელობის კოლმეურნეობაში ამბ. ნახუცრიშვილს მოწყობილი აქვს სანერგე და ყოველწლიურად გამოიყვეს 5 ათასამდე ხილის ნერგი. შარშან დაამყნო 3.600 ძირი ატამი და მთლიანად უზრუნველყო მისი გახარება.

პრაქტიკოსი მიჩურინელი მეხილე თომა ნახუცრიშვილი თავის გამოცდილებას უზიარებს სხვა კოლმეურნეებსაც. შარშან მან მოამზადა 10 მყნობელი. წელს იკისრა კოლმეურნეობაგან მოამზადოს 20 მყნობელი.

ზარუნეა სამამულო ომში დაღუპულთა ოჯახებისა, ომის ინვალიდებისა და პენსიონერებისათვის

გურჯაანი. (საკ. კორ.). სამამულო ომში დაღუპულთა ოჯახებს, ომის ინვალიდებს, სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებს, აგრეთვე დანარჩენ პენსიონერებს შარშან 2.642.295 მანეთი დახმარება მიეცათ.

ერთდროული დახმარების სახით ომის ინვალიდებსა და სამხედრო მოსამსახურეთა 112 ოჯახს მიეცა 32.000 მანეთი. 600 პენსიონერის ოჯახზე გაიცა 18.663 კილოგრამი მარცვლეული. სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში გაიგზავნა სამამულო ომის 18 ინვალიდი.

გარდა ამისა, რაიონის ურთიერთდამხმარე სალარიებმა სამამულო ომის ინვალიდებს დახმარების სახით მისცეს 346.000 მანეთი, ომში დაღუპულ მებრძოლთა ოჯახებს 99.150 მანეთი. პენსიონერთა 474 ოჯახს 33.829 მანეთი. მათვე მიეცათ 990 კუბმეტრი შეშა. 27 პენსიონერის ოჯახს საკარმიდამო ნაკვეთები დაუმუშავეს და 8 კაცს საცხოვრებელი ბინები შეუკეთეს.

საუკეთესო ხარისხის პროდუქციის 500 ბრიგადა

ქუთაისი. (საკ. კორ.). ქალაქის ფაბრიკა-ქარხნებს ა. ჩუტკინის ათასობით მომდევარი ჰყავს. ისინი დაუღალავად იბრძვიან იმისათვის, რათა უფრო აუმაღლონ მარკა შშობლიურ ქალაქში დამზადებულ პროდუქციას.

აბრეშუმკომბინატის საწარმოებში, სადაც საუკეთესო ხარისხის პროდუქციის 56 ბრიგადაა შექმნილი, წარჩინებულმა ქვეოსტატმა გ. კუტეფაძემ 18 პროცენტით გაადიდა პირველხარისხოვანი პროდუქციის გამოშვება, ხოლო წმინდა აბრეშუმის ქსოვაზე მომუშავე ო. კანდელაკის, ჯ. ქათამაძის და ქ. ვაშაკიძის ბრიგადების საღრიცხვო გრაფებში კარგახანია არ შეტანილა ცნობები მესაქე ხარისხის ქსოვილის შესახებ. მათ მიერ დამზადებული კრეპსატინი, კრეპჟორჟეტი და სხვა ქსოვილები ძირითადად პირველი ხარისხისაა.

ტყავფეხსაცმლის კომბინატში, მაუდის, სამკერვალო და საკონდიტრო ფაბრიკებში ამეკამად ბრიგადების უმრავლესობა დიდი გადამეტებით ასრულებს პირველხარისხოვანი პროდუქციის გამოშვების დავალებებს. ბეგრმა მთამგამა, როგორც, მაგალითად, ვ. ზვიადაძის (სამკერვალო ფაბრიკა) და ს. ნეფეტაძის (ტყავფეხსაცმლის კომბინატი) ბრიგადებმა, მიაღწია 98 პროცენტი პირველი ხარისხის ნაწარმის გამოშვებას.

ხარისხისათვის ბრძოლა ფართოდ არის გაჩაღებული ლითონდამამუშავებელ საწარმოებშიც. მანქანათმშენებელ ქარხანაში 46 ბრიგადა წარმატებით მონაწილეობს მაღალხარისხოვანი დეტალების დასამზადებლად გაჩაღებულ შეჯიბრებაში. აქ შესანიშნავი ინიციატივა გამოიჩინეს ინჟინრებმა და ტექნიკოსებმა, რომლებმაც შეფობა აიღეს ხარისხისათვის მებრძოლ ბრიგადებზე. ისინი მიმაგრებული არიან ცალეულ ბრიგადებზე დეტალების ხარისხის ამაღლებისა და წუნის მთლიანად აღმოფხვრისათვის.

ქალაქის საწარმოებში ახლა საუკეთესო ხარისხის პროდუქციის გამომშვები 500 ბრიგადაა. ისინი მთელი ენერგიით იბრძვიან ამ სამაგალითო სახელწოდების დასამართლებლად.

საბჭოთა ინჟინრის მნიშვნელოვანი გამოგონება

გაზეთმა „პრავდამ“ 25 მარტის ნომერში ამ სათაურით გამოქვეყნა თავის კიეველი კორესპონდენტის წერილი კიევში მყოფი ქართველი ინჟინრის ამბ. ა. მელიას ძვირფასი გამოგონების შესახებ.

როგორც ცნობილია, ტექნიკაში ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ გადაწყვეტილი საწენ მასალათა წარმოებაში მბრალი წნეხის მეთოდის გამოყენების პრობლემა. მშრალი წნეხის მეთოდი კი დიდ უპირატესობას შეიცავს — ამცირებს პროდუქციის, ანუ მზა საწენი მასალის გამოშვების ვადას, ზედმეტად ხდის ხელით შრომის გამოყენებას, საჭირო აღარ არის დიდი საშრობი ფარდულების აგება და დანდგართა გამართვა, კლებულობს საწენი მასალის თვითღირებულება. არ არის მოწესრიგებული აგრეთვე ფუფუტრიალი აგურის წნეხაც. ასეთი აგურის საწენი არსებული მანქანების წარმადობა დაბალია, რის გამო აგური უმეტეს შემთხვევაში დაბალხარისხოვანი გამოდის.

ამ რთული ტექნიკური პრობლემის გადაჭრა დაისახა მიზნად ინჟინერმა ამბ. ა. მელიამ. მან შეძლო ახალი კონსტრუქციის ისეთი სარეტაციო წნეხის შექმნა, რომლითაც შეიძლება მივიღოთ უმაღლესი ხარისხის სხვადასხვა საწენი მასალები. ა. მელიას სისტემის ამ მანქანას დიდი გაუმჯობესება შეაქვს საწენ მასალათა წარმოებაში.

თუ „შპენგლერის“ სისტემის გრძნობული წნეხი, ან „ბოიდისა“ და „რიდელის“ სისტემის ამერიკული წნეხები საათში 2.000 ცალამდე აგურს იძლევიან, ა. მელიას სისტემის საბჭოთა სარეტაციო წნეხი ერთ საათში გვაძლევს 7.200 ცალ მაღალხარისხოვან აგურს. უცხოეთში ჯერ ვერსად მიაღწიეს იმას, რომ „შპენგლერის“ წნეხით წელიწადში 7,6 მილიონი ცალი, ხოლო „ბოიდის“ წნეხით 9 მილიონი ცალი აგური მიეღოთ. მელიას სისტემის სარეტაციო წნეხი კი ყოველწლიურად 30 მილიონ ცალ აგურს მოგვცემს. ამ ახალ საბჭოთა მანქანას ერთ ცვლაში შეუძლია მოგვცეს იმდენი აგური, რამდენის გაფასებიდან რკინგზის 9 ვაგონი იქნება საჭირო.

ამბ. ა. მელიას მიერ გამოგონებული ახალი მანქანით შეიძლება არა მარტო ჩვეულებრივი აგურის, არამედ ხუთწახნაგოვანი აგურის, ნასვრეტებიანი აგურის, დიდი ზომის მოსაპირკეთებელი ხელოვნური ფიქალის და მთელ რიგ სხვა საწენ მასალათა გამოშვება. მანქანას შეუძლია აგრეთვე გამოუშვას სპეციალური, შენობათა მოსაპირკეთებელი დეკორაციული აგური რელიეფური ორნამენტებით.

ასეთი დეკორაციული საწენი მასალების მასობრივად გამოშვება ახალ პერსპექტივას უქმნის მშენებლობის განვითარებას. საჭირო აღარ იქნება შრომატევადი მოსაპირკეთებელი სამუშაოების ხელით შესრულება, საჭირო აღარ იქნება კედლების მობათქაშება და ა. შ.

ინჟინერ ა. მელიას სისტემის სარეტაციო წნეხი უკვე ერთი წელიწადია მუშაობს კიევის ერთ-ერთ აგურის ქარხანაში. ამ ხნის განმავლობაში წნეხი სრულიად გამართულად და შეუფერხებლად გვაძლევს საწენ მასალებს. უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ გამოყოფილი წნეხის მიმღები მთავრობის კომისიის აქტში ჩაწერილია:

„აღინიშნოს, რომ აგურისა და სამშენებლო და არქიტექტურული კერამიკის ნაწარმის შრალი წნეხვის სარეტაციო მანქანა წარმოადგენს სრულიად ორიგინალურ საბჭოთა გამოგონებას, რომელიც განხორციელებულია ამბ. ა. ა. მელიას საავტორო მოწმობის საფუძველზე.

აღინიშნოს სარეტაციო წნეხის სრულიად უნაკლო გამართული მუშაობა წნეების ყველა რეჟიმის დროს“.

დამთავრდა თეატრის კაპიტალური რემონტი

ლანჩხუთი. (საკ. კორ.). დამთავრდა ვ. ნინოშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის კაპიტალური რემონტი, რაც 200.000 მანეთი დაჯდა.

რემონტის შემდეგ თეატრის შენობა ერთ-ერთი ულამაზესი ნაგებობა გახდა. თეატრის კოლექტივი უახლოეს დღეებში მაყურებელს უჩვენებს ახალ დადგმებს.

თესვაში საპირველმაისოდ დავამთავრებთ

ჩვენი კოლმეურნეობა წლითი-წლობით მარცვლეულის დიდ მოსავალს იღებს. შარშან 163 ჰექტარი ფართობის ყოველ ჰექტარზე 24 ცენტნერი სიმინდი მოვიწიეთ, თვითეული ზრომადღეზე გავაბარწლეთ 10,6 კილოგრამი სიმინდი და 1,75 მანეთი ფულადი.

საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის გადაწყვეტილების პასუხად წელს ჩვენ კიდევ უფრო გავზრდით მოსავლიანობას. განვზრახეთ ავითვისოთ 25 ჰექტარი ყამირი მიწა, სიმინდისათვის დავამუშავებთ 166 ჰექტარს და ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 34 ცენტნერისა, ყოველ ჰექტარზე მოვიყვანთ 45 ცენტნერ სიმინდს.

კოლმეურნეობამ უკვე განაზრავიცელა შემდეგი ღონისძიებანი: მესამე ბრიგადის ტერატორიაზე, კოლმეურნეობის ეზოს სახლის წინ, დიდი ხნის განმავლობაში გამოუყენებელი იყო 5 ჰექტარამდე მიწა, რომელიც ჩირგვნარით იყო დაფარული. კოლმეურნეობა ინიციატივით ეს ფართობი მთლიანად გაიწმინდა ჩირგვნარისაგან და იხვნება. განზრახული გვაქვს თესვა დავამთავროთ მშრომელთა საერთაშორისო ღიესასწაულის — 1 მაისისათვის. საამისოდ მომპრაგებული გვაქვს მაღალხარისხოვანი თესლი, მუშა-პირტუყვი გადაყვანილია გაძლიერებულ კვებაზე.

წელს ციტრუსოვან და ტექნიკურ კულტურებსაც გავაშენებთ. ფორთოხლის დავრგავთ 2 ჰექტარზე, სუბტროპიკულ ხურმას — 2, ბამბუკს — 5,5, თუთას—1 ჰექტარზე. ეს კიდევ უფრო გაზრდის კოლმეურნეობის შემოსავალს.

გავითვალისწინეთ რა, რომ ციტრუსოვანი და ტექნიკური კულტურებისათვის აუცილებელია ქარსაფარის შექმნა, „ტყის დღესასწაულ“ დაკავშირებით დავრგავთ 2.500 ძირ ალვის ხეს, ჭადარს და სხვა სწრაფად მზარდ მცენარეებს.

ი. ფოჩხუა

ცხაკაიის რაიონის სოფელ თელასთის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

საბჭოთა მეურნეობას დახმარება ესაჭიროება

სამტრესტის ვაზისუბნის (სამტრედიის რაიონი) საბჭოთა მეურნეობა ყოველწლიურად დიდი რაოდენობით აწვდის მევენახეობის რაიონებს ფილოქსერაგამძლე ვაზის ლერწს. წელს მეურნეობამ ფილოქსერაგამძლე ვაზის 48,24 ჰექტარი სადედიდან 965.000 ცალი სტანდარტული ლერწი უნდა მიიღოს. საამისოდ დაბარეს პლანტაციები, შეიტანეს 36 ტონა ფოსფორი, ორგანული სასუქი, გაიყვანეს სადრენაჟო ქსელი და სხვ.

მაგრამ მეურნეობის მუშაობაში არის სერიოზული ნაკლი. ქობულეთიდან უნდა შემოეწიდათ 1.000 ტონა ტორფი. უტრანსპორტობის გამო ეს სამუშაო შეეფერხებულია. გეგმით გათვალისწინებული 12 ტონა კალიუმის სასუქი ჯერ კიდევ არ მიუღიათ, ხოლო 24 ტონა აზოტი, რაც დიდი ხანია მიიღეს, შეტანილი არ არის პლანტაციებში. არსებული სადედეებიდან 9,16 ჰექტარი მოუსავლიანია, რომლის აღდგენა-განახლებისათვის აქ არავინ ზრუნავს.

აღსანიშნავია, რომ მეურნეობა წლების მანძილზე ვერ ასრულებს ფილოქსერაგამძლე ვაზის ლერწის დამზადების გეგმებს.

ვაზისუბნის საბჭოთა მეურნეობას სამტრესტის მხრივ სერიოზული ყურადღება და დახმარება ესაჭიროება.

ვ. კოკალეიშვილი

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

ვიბრძვით ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის

ჩვენი რაიონის პარტიულმა ორგანიზაციებმა გაშალეს მუშაობა საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად. დასახულია ღონისძიებანი კოლმეურნეობების შემდგომი სამეურნეო და პოლიტიკური განმტკიცებისათვის, შრომის საყოფიერების ამაღლებისა და უხვი მოსავლის მიღებისათვის.

სოფელ ზემო ალვანის შინსახკომის სახელობის კოლმეურნეობის პირველადა პარტიულმა ორგანიზაციამ, რომელიც 27 კომუნისტს აერთიანებს, მიიღო გადაწყვეტილება საკოლმეურნეო შრომის პასუხსაგებ უბნებზე კომუნისტების განაწილების შესახებ. 12 კომუნისტი გაიგზავნა მეცხოველეობის ფერმებში, ხოლო 11 მეძროვრობის ბრიგადებსა და რგოლებში. პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ამხ. ა. ბორძოკიძემ, რომელიც მეძროვრეობის ბრიგადიერად მუშაობს, იკისრა 30 ჰექტარი სიმინდის ნათესის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ მოიყვანოს 73 ცენტნერი სიმინდი, ხოლო 40 ჰექტარი პურის ნათესის თვითეულ ჰექტარზე — 22 ცენტნერი ხორბალი. კომუნისტმა მერგოლეშა ზარიძემ იკისრა თავისი რგოლისათვის მიჩენილი 10 ჰექტარი სიმინდის ნათესის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანოს 73 ცენტნერი სიმინდი, ხოლო 15 ჰექტარი პურის ნათესის თვითეულ ჰექტარზე — 22 ცენტნერი ხორბალი.

პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ დაავალა აგიტატორებს ფართოდ გაშალონ მასობრივი მუშაობა ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის მშრომელთა დასარაზმავად, საგაზეთო ხვნა-თესვის წარმატებით ჩასატარებლად.

პარტიული ორგანიზაციის ინიციატივით კოლმეურნეობამ ვალდებულება იკისრა 1949 წელს 80 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ მოიყვანოს 60 ცენტნერი, ხოლო 60 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე — 73 ცენტნერი სიმინდი, 140 ჰექტარი პურის ყოველ ჰექტარზე — 25 ცენტნერი ხორბალი. ამ კოლმეურნეობის ორმა ბრიგადამ და 8 რგოლმა იკისრა ისეთი ვალდებულებანი, რომელთა განხორციელება სოციალისტური შრომის გმირის სახელწოდების მოპოვების უფლებას იძლევა. კოლმეურნეები უკვე შეუდგნენ ნაკისრ ვალდებულებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში. საგაზაფხულო კულტურების დასათესად გამოყოფილი ფართობი მთლიანად მოხნულია მზრალად. მინდვრად და ვენახებში გატანილია 410 ტონა ნაკელი. მომარაგებულ იქნა ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის თესლი, გამზადება და გადაყვანილია გაძლიერებულ კვებაზე, სრულ წესრიგზეა სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი. ნაკვეთები მიჩენილი აქვთ რგოლებს, ბრიგადებსა და ცალკეულ კოლმეურნეებს. მოწმენაგე რგოლებისა და ბრიგადებისათვის დაწესებულია გარდამავალი წითელი დროშა. 25 მარტისათვის კოლმეურნეობამ შეასრულა თავთავიანი მარცვლეული კულტურებისა და მრავალწლიანი ბალახების თესვის გეგმა. უახლოეს დღეებში დაიწყებენ სიმინდის თესვას.

კოლმეურნეობის პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ სამუშაო გეგმაში გათვალისწინა აპრილის შუა რიცხვებში მოაწყოს თავისი დადგენილების შესრულების შემოწმება, ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობა.

ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლა კარგად დაიწყო სოფელ ქისტაურის კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბრის“ პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ. შარშან ამ კოლმეურნეობის იმ რგოლმა, რომელსაც ეპატიჟებოდა პარტიული ორგანიზაციის მდივანი ამხ. ვ. ხოსიაშვილი ხელმძღვანელობს, 7,7 ჰექტარი ფართობის ყოველ ჰექტარზე მოიყვანა 54 ცენტნერი სიმინდი. თვითონ მერგოლეშა ამხ. ხოსიაშვილმა პრემიაწყნაღმატის სახით 21 ცენტნერი სიმინდი მიიღო. საშუალოდ კოლმეურნეობაში, მოუხედავად გვალვისა და სეტყვისა, ჰექტარზე მიღებულ იქნა 24 ცენტნერი სიმინდი.

პარტიული ორგანიზაცია სათავეში უდგას კოლმეურნეთა ბრძოლას უხვი მოსავლისათვის. კოლმეურნეობამ იკისრა ვალდებულება 60 ჰექტარი სიმინდის ნათესის თვითეულ ჰექტარზე მიიღოს 50 ცენტნერი სიმინდი. 2 ბრიგადისა და 6 რგოლის ათეულობით კოლმეურნემ იკისრა ისეთი ვალდებულება, რაც სოციალისტური შრომის გმირის სახელწოდების მოპოვების უფლებას იძლევა.

პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ვ. ხოსიაშვილმა იკისრა მისი რგოლისათვის მიჩენილი 10 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღოს 85 ცენტნერი სიმინდი. რგოლმა სასიმინდე ნაკვეთები მოხნა მზრალად, შეიტანა 250 ტონა ნაკელი. ეხლა მოსავლის მიღების ვალდებულება იკისრეს სხვა კომუნისტებმაც. კომუნისტმა ვ. სალარაძემ ვალდებულება აიღო მიჩენილ 0,7 ჰექტარ ფართობზე მიიღოს 75 ცენტნერი სიმინდი.

სოფელ ახმეტის კოლმეურნეობა „პირველი მაისის“ მერგოლურმა კომუნისტმა გ. კოტორაშვილმა, რომელმაც გასულ წელს რგოლისთვის მიჩენილი 10 ჰექტარი სიმინდიდან საშუალოდ ჰექტარზე 47 ცენტნერი სიმინდი მოიყვანა, ხოლო 16,5 ჰექტარი პურის ნათესიდან საშუალოდ ჰექტარზე — 15 ცენტნერი პური, ყრილობის გადაწყვეტილებათა პასუხად იკისრა 10 ჰექტარი სიმინდის ნათესიდან საშუალოდ ჰექტარზე მიიღოს 75 ცენტნერი მარცვალი, ხოლო 15 ჰექტარი პურის ნათესიდან ჰექტარზე 25 ცენტნერი მარცვალი. რგოლი წარმატებით მუშაობს ამ ვალდებულებათა განხორციელებისათვის.

ზემო ალვანის შინსახკომის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა ინიციატივით რაიონის კოლმეურნეობებში ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება. ისეთი ვალდებულებანი, რომელთა შესრულება სოციალისტური შრომის გმირის სახელწოდების მოპოვების უფლებას იძლევა, რაიონში იკისრეს: კოლმეურნეობის 21 თავჯალმაჩარემ, 68 ბრიგადირმა და 202 მერგოლურმა. მაღალი მოსავლისათვის ბრძოლაში ჩაბმულია 6.430 კოლმეურნე.

კოლმეურნეობების მიერ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულების მიხედვით თავთავიანი მარცვლეული კულტურების 8.000 ჰექტარი ფართობიდან საშუალოდ თვითეულ ჰექტარზე მიღებულ უნდა იქნეს 15 ცენტნერი ხორბალი, სიმინდის ნათესის 4.380 ჰექტარიდან თვითეულ ჰექტარზე—33 ცენტნერი სიმინდი, ხოლო 430 ჰექტარი ვენახიდან ჰექტარზე—46,6 ცენტნერი ყურძენი.

კოლმეურნეობებს სრული შესაძლებლობა აქვთ ნაკისრ ვალდებულებათა პირნათლად შესრულებისათვის: რაიონში 1948 წელს საშემოდგომო ხვნა-თესვის გეგმა დაწესებულ ვადებში, 30 ოქტომბრისათვის 101 პროცენტით შასრულა; როგორც ერთწლიანი, ისე მრავალწლიანი ნარგავები უკვე მიჩენილი აქვთ ბრიგადებს, რგოლებს, ცალკეულ კოლმეურნეებს. გასულ წელთან შედარებით დათესილია 1.421 ჰექტარით მეტი თავთავიანი მარცვლეული კულტურები.

კოლმეურნეები ამჟამად გაცხოველებულ მუშაობას ეწევიან ყანებსა და ვენახებში ნაკელის გასატანად. 1949 წლისათვის გეგმით გათვალისწინებული გვქონდა სულ გაგგზავნა 13.000 ტონა ნაკელი. 25 მარტისათვის უკვე გატანილი იყო 14.517 ტონა. აქედან ვენახებში და ხეხილის ბაღებში შეტანილია 8.747, ხოლო სასიმინდე ნაკვეთებში—5.780 ტონა ნაკელი. ეს მუშაობა გრძელდება.

საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობაზე ამხანაგმა კ. ჩარკვიანმა საბრძოლო ამოცანად დასახა უზრუნველყოთ უახლოეს 8-10 წელიწადში რესპუბლიკის მოსახლეობა საკუთარი პურით. რაიონის კოლმეურნეობებმა იკისრეს წელს პურის მოსავლიანობა თვითეულ ჰექტარზე აიყვანონ 15 ცენტნერამდე, ხოლო სიმინდისა — 33 ცენტნერამდე.

ამხანაგმა კ. ჩარკვიანმა დაგვავალა ვენახების მოსავლიანობა უახლოეს ხანში გავზარდოთ 50-100 პროცენტით. ახმეტის რაიონში ვენახის მოსავლიანობა ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელია. შარშან 430 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მივიღეთ მხოლოდ 14,7 ცენტნერი ყურძენი. მიმდინარე წლისათვის რაიონის კოლმეურნეობებმა იკისრეს ვალდებულება უზრუნველყონ გეგმით დაწესებული 35 ცენტნერი მოსავლის მოყვანა ჰექტარზე. ამ ვალდებულების შესრულებისათვის მუშობას ჩვენ აქედანვე შევუდექით. კოლმეურნეობებში 430 ჰექტარი ვენახი უკვე მოხნეს და დაბარეს. გაცხოველებით მიმდინარეობს ვენახების მეორედ ხვნა, სხვლა, შესარგა. ეს სამუშაოები 15 აპრილამდე დამთავრდება. ვენახებში გატანილია 8.747 ტონა ნაკელი. მიღებულია ზომები დანაკლისი ვაზების შევსებისათვის. მიმდინარე წლის გაზაფხულზე ვენახებში გამოირგება 62 ათასი ძირი ვაზი.

რაიონში გაცხოველებით მიმდინარეობს საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები. 30 მარტისათვის 850 ჰექტარიდან უკვე დათესილი იყო 750 ჰექტარი. შესრულებულია

უცხოეთის გამოხმაურება ჩრდილო აფლანგიკის ხელშეკრულების შესახებ სსრ კავშირის მთავრობის მემორანდუმის გამო

პოლონეთი

ვარშავა, 2 აპრილი. (საკადრო). დღეს პოლონეთის ყველა გაზეთმა პირველ გვერდზე გამოაქვეყნა სსრ კავშირის მთავრობის მემორანდუმი ჩრდილო ატლანტიკის ხელშეკრულების შესახებ და აღნიშნა, რომ ხელშეკრულება აგრესიული და მიმართულია სსრ კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ.

გაზეთი „რეჩ პოსპოლიტა“ აღნიშნავს, რომ ჩრდილო ატლანტიკის ხელშეკრულება ეუმქმნა ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების მიერ წინათ მიღებულ ყველა ვალდებულებას.

გაზეთი „ტრიბუნა ლუდუ“ მოწინავე სტატიაში წერს: „საბჭოთა მემორანდუმი ფარისეველის ნიღაბს ხდის იმათ, ვინც ომის მომხრეა და ცდილობს ეს დაფაროს ფრაზებით მშვიდობის შესახებ. საბჭოთა მემორანდუმი აშკარავებს პაქტის — ხალხთა უშიშროებისა და საყოველთაო მშვიდობის წინააღმდეგ. ამ შეთქმულების ყველა ფარული მიზანს“.

„საბჭოთა მემორანდუმი, — წერს გაზეთი, — ამოიწურავად აშუქებს მდგომარეობას. მთავრობებს, რომლებმაც ეს მემორანდუმი მიიღეს, არ შეეძლოთ განაცხადონ, თითქოს მათ ვერ გითვალისწინეს პაქტისადმი მიმართობის შედეგები. ჩრდილო ატლანტიკის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოს ყოველ მოქალაქეს შეუძლია დღეს სავსებით გაერკვეს, თუ რას უქადის მას პოლონეთი მთავრობისა, რომელმაც თავი ამერიკის იმპერიალიზმს მიჰყიდა. ამ პოლიტიკას დამღუბველი შედეგები მოსდევს.

ვინც ოცნებობს ნამდვილ ომად გადაიქცეოს „ცივი ომი“, შეჯიდ მოტაუდეს თავის ვარაყულში. უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რომელიც მათ გეგმებს უფიშავს, საბჭოთა კავშირის პოლიტიკაა. სწორედ ამიტომ არის მიბეჭობილი დღეს მილიონობით ადამიანი თვალი მოსკოვისაკენ. იქიდან გაისმის მშვიდობის ხმა. იქიდან გაისმის იმედის ხმა. ვინც თავის იმედს მოსკოვს უკავშირებს, არ შეცდება“.

ჩეხოსლოვაკია

პრაღა, 2 აპრილი. (საკადრო). პრაღის ყველა გაზეთი თვალსაჩინო ადგილს და დიდრონი სათაურით აქვეყნებს საბჭოთა მთავრობის მემორანდუმს ჩრდილო ატლანტიკის ხელშეკრულების შესახებ.

ამ მემორანდუმს გამოქვეყნებას ჩეხოსლოვაკიის ფართო საზოგადოებრიობა შეხვდა რეგორც ამ დანაშაულებრივი გეგმების ახალ უდაო მხილებას, რაც დასახული აქვთ ინგლის-ამერიკის იმპერიალისტების წარმომადგენლებს შვიდობის წინააღმდეგ.

გაზეთი „სვობოდნე სლოვო“ საბჭოთა კავშირის მემორანდუმს აქვეყნებს დიდი სათაურით: „საბჭოთა კავშირი მთელი მსოფლიოს უშიშროებას იცავს“.

გულგარეთი

სოფია, 2 აპრილი. (საკადრო). დღეს ყველა ცენტრალურმა გაზეთმა პირველ გვერდზე გამოაქვეყნა ჩრდილო ატლანტიკის ხელშეკრულების შესახებ სსრ კავშირის მთავრობის მემორანდუმი, რომელიც გაეგზავნა ამერიკის შეერთებულ შტატების, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, ბელგიის, ჰოლანდიის, ლუქსემბურგისა და კანადის მთავრობებს ჩრდილო ატლანტიკის ხელშეკრულების გამო. ყველა სხვა გაზეთმა თვალსაჩინო ადგილას დიდრონი სათაურებით დაბეჭდა მემორანდუმის დაწერილებითი შინაარსი.

გაზეთმა „უნიტამ“ თავის ოთხსავე გამოცემაში (რომი, მილანი, ტურინი, გენუა) გამოაქვეყნა სრული ტექსტი საბჭოთა მთავრობის მემორანდუმისა ატლანტიკის ხელშეკრულების გამო.

გაზეთებმა „ავანტიმ“ და „პაეზმა“ დიდრონი სათაურით მოთავსეს მემორანდუმის დაწერილებითი შინაარსი.

მთავრობის ბანაკის დიდრონი გაზეთები, რომლებიც რომსა და მილანში გამოდის, ცდილობენ მკთხველებს დაუმალონ ეს დოკუმენტი და მხოლოდ მოკლედ იხსენიებენ მას ამერიკის შეერთებული შტატებიდან და ინგლისიდან მიღებულ ცნობებში.

რა კი არ ძალუძთ არსებითად გააბათილონ მემორანდუმის არგუმენტები, მთავრობის ბანაკის გაზეთები ცდილობენ იტალიის საზოგადოებრიობი აზრის ყურადღება მიაპყრონ ამ დოკუმენტის შინაარსის სხვადასხვა ყალბ „განმარტებას“.

საფრანგეთი

პარიზი, 2 აპრილი. (საკადრო). გაზეთები ვრცელ ცნობებს აქვეყნებენ ჩრდილო ატლანტიკის ხელშეკრულების შესახებ საბჭოთა მთავრობის მემორანდუმის გამო.

პიერ კურტადი „ლუმანიტეში“ სტატიაში სათაურით „უეცლობელი ბრალდება“ კომენტარს უკეთებს საბჭოთა მთავრობის მემორანდუმს ჩრდილო ატლანტიკის ხელშეკრულების შესახებ და წერს: ატლანტიკის ხელშეკრულება, როგორც ეს აღნიშნულია საბჭოთა მთავრობის მემორანდუმში, ვერ უზრუნველყოფს საერთაშორისო უშიშროებას ერთადერთი შესაძლებელი საფრთხის, საფლიობრ გერმანიის აგრესიის საფრთხის წინააღმდეგ; პირიქით, ატლანტიკის ხელშეკრულების ფარგლებში ხდება ბაიერეთ გერმანიის სამხედრო მრეწველობის აღდგენა, რაზეც შუმანი ოფიციალურად დათანხმდა ვაშინგტონში ხელშეკრულების ხელმოწერის ორი დღით ადრე.

შვეიცარია

ციურიხი, 2 აპრილი. (საკადრო). ყველა გაზეთმა თვალსაჩინო ადგილას გამოაქვეყნა ჩრდილო ატლანტიკის ხელშეკრულების შესახებ საბჭოთა მთავრობის მემორანდუმის ტექსტი, რომელიც საბჭოთა მთავრობამ გადასცა ამერიკის შეერთებულ შტატების, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, ბელგიის, კანადის, ჰოლანდიისა და ლუქსემბურგის მთავრობებს.

გაზეთმა „სუტარმა“ თითქმის მთლიანად მოათავსა საბჭოთა მემორანდუმის ტექსტი შემდეგი დიდი სათაურით: „საბჭოთა მთავრობა ამხილებს ატლანტიკის პაქტის აგრესიულ ხასიათს“. გაზეთმა „გრენენერ ეგმა“ მემორანდუმის ტექსტი გამოაქვეყნა სათაურით — „ჩრდილო ატლანტიკის ხელშეკრულების ამჟარა აგრესიული ხასიათი აქვს და მიმართულია სსრ კავშირის წინააღმდეგ, — ნათქვამია საბჭოთა მთავრობის მემორანდუმში“.

კათოლიკურმა გაზეთმა „ნას

ონ ბელკმა“ იმავე მოცულობით, როგორც ზემოხსენებულმა გაზეთებმა, პირველ გვერდზე დაბეჭდა მემორანდუმის ტექსტი სათაურით: „სსრ კავშირი ამტკიცებს, რომ ჩრდილო ატლანტიკის პაქტს აგრესიული ბასიათი აქვს“.

მთავრობის წრეებთან ახლო მდგომმა სოციალისტურმა გაზეთმა „პეპლმა“ შემდეგი სათაურით დაბეჭდა საბჭოთა მთავრობის მემორანდუმი პირველ გვერდზე: „7 მთავრობამ ეიიღო ნამდვილად“. გაზეთი განსაკუთრებით აღნიშნავს საბჭოთა მთავრობის დასკვნებს და სამხედრო აგრესიულ პაქტის ინიციატორი მთავრობებისათვის წაყენებულ ბრალდებებს.

გაზეთმა „ფრანკ ოუ	მ“ მოათავსა საბჭოთა მემორანდუმის სრული ტექსტი. გაზეთი წერს: „ატლანტიკის პაქტი აგრესიის ინსტრუმენტია. იგი ბირს უთხრის გაერთიანებული ერების ორგანიზაციას“.

ჰოლანდია

ჰააგა, 2 აპრილი. (საკადრო). ჰოლანდიის გაზეთები დიდ ყურადღებას აქცევენ საბჭოთა მთავრობის მემორანდუმს ჩრდილო ატლანტიკის ხელშეკრულების შესახებ.

გაზეთები „დე ნედერლანდერი“ და „დე ვაარჰედი“ აქვეყნებენ საბჭოთა მთავრობის მემორანდუმის სრულ ტექსტს. „დე ვაარჰედი“ უკეთებს შემდეგ სათაურებს: „პაქტის აგრესიული ხასიათი დამტკიცებულია. პაქტი აღმოფოთებლად ეწინააღმდეგება ყველა საერთაშორისო შეთანხმებას“. გაზეთი კომენტარს უკეთებს მემორანდუმს და აღნიშნავს, რომ იგი ახალ ლაბვარს სცემს ომის გამზადებელთ. მემორანდუმი ამხილებს ინგლისელ-ამერიკელ ომის გამზადებელთა და მათ დამორჩილებულ აგრესორთა აგრესიულ გეგმებს.

მთავრობის პარტიის — შრომის პარტიის მთავარი ორგანოები „ჰეტ ფრეიე ფოლკი“ და „ჰეტ პაროლი“ უმნიშვნელო ადგილს უთმობენ მემორანდუმს.

უნგრეთი

ბუდაპეშტი, 3 აპრილი. (საკადრო). ყველა გაზეთმა პირველ გვერდზე დიდრონი სათაურებით გამოაქვეყნა ჩრდილო ატლანტიკის ხელშეკრულების შესახებ საბჭოთა მთავრობის მემორანდუმის სრული ტექსტი.

გაზეთი „ნეფსაკა“ სათაურში ხაზგასმით აღნიშნავს: „ატლანტიკის პაქტი ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრინციპებს და დასავლეთ სახელმწიფოთა სახელშეკრულებო გალდებულებებს“.

იუგოსლავია

ბელგრადი, 2 აპრილი. (საკადრო). იუგოსლავიის ყველა გაზეთმა დაბეჭდა ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, ბელგიის, ჰოლანდიის, ლუქსემბურგისა და კანადის მთავრობებისათვის სსრ კავშირის მთავრობის მიერ გაგზავნილი მემორანდუმი ჩრდილო ატლანტიკის ხელშეკრულების შესახებ.

ინგლისი

ლონდონი, 2 აპრილი. (საკადრო). გაზეთებმა გამოაქვეყნეს ცნობები ჩრდილო ატლანტიკის პაქტის გამო საბჭოთა მთავრობის მემორანდუმის შესახებ. „ტაიმსს“ შესამედ სვეტზე მოაქცია რეიტერის ააგენტოს ცნობა, რომელიც საბჭოთა მემორანდუმის ნაწყვეტებს შეიცავს.

„დეილი ჰერალდი“ პირველ გვერდზე აქვეყნებს უფრო სრულ შინაარსს და ამ მასალას სამ მეოთხედ სვეტს უთმობს. „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტი“ და „დეილი მეილი“ მემორანდუმის შინაარსს ბეჭდავენ პირველ გვერდის მესამედ სვეტზე სათაურით: „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტი“ — „რუსები გმობენ ატლანტიკის პაქტს, როგორც საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართულ, მემორანდუმი შეიდი სახელმწიფოსადმი“; „დეილი მეილი“ — „მოსკოვის პროტესტი ჰაქტის წინააღმდეგ“.

რეფერეტი ბრესა თავის კომენტარებში ცდილობს დამახინჯოს საბჭოთა მემორანდუმის შინაარსი და შეიანოს ის შობაპეშდილეა, რაც მან ინგლისის საზოგადოებრივ აზრზე მოახდინა.

პაკისტანი

კარაჩი, 3 აპრილი. (საკადრო). პაკისტანის გაზეთებმა გამოაქვეყნეს ჩრდილო ატლანტიკის ხელშეკრულების შესახებ საბჭოთა კავშირის მთავრობის მემორანდუმის ნაწყვეტები.

გაზეთმა „დრონმა“ საბჭოთა მემორანდუმის ნაწყვეტები პირველ გვერდზე მოათავსა დიდი სათაურით: „ატლანტიკის პაქტი მომორეულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების წინააღმდეგ“.

„დეილი ჰერალდი“ პირველ გვერდზე აქვეყნებს უფრო სრულ შინაარსს და ამ მასალას სამ მეოთხედ სვეტს უთმობს. „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტი“ და „დეილი მეილი“ მემორანდუმის შინაარსს ბეჭდავენ პირველ გვერდის მესამედ სვეტზე სათაურით: „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტი“ — „რუსები გმობენ ატლანტიკის პაქტს, როგორც საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართულ, მემორანდუმი შეიდი სახელმწიფოსადმი“; „დეილი მეილი“ — „მოსკოვის პროტესტი ჰაქტის წინააღმდეგ“.

მშვიდობის მომხრეთა ბუღბაღეთის კონგრესი

სოფია, 3 აპრილი. (საკადრო). დღეს სოფიაში გაიხსნა მშვიდობის მომხრეთა ეროვნული კონგრესი. კონგრესს ესწრება ათასზე მეტი დელეგატი, აგრეთვე მრავალი სტუმარი.

კონგრესი გახსნა მშვიდობის დაცვის ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარემ ტოდორ სამოდოვმა. მოკლე შესავალი სიტყვის შემდეგ მან შეიტანა წინადადება სამუშაო პრეზიდიუმის არჩევის შესახებ. წინადადებამ სამუშაო პრეზიდიუმში მთელი პროგრესული კაცობრიობის ბელადის ჟოსიფ ბესარიონის-ძე სტალინის არჩევის შესახებ მჭეხარე და ხანგრძლივი ოვაციის გამოწვევა. ყველა დელეგატი და სტუმარი ფეხზე წამოდგა და დიდგრძელება უსურვა მშვიდობისმოყვარე ხალხების სუპეკეთია მეგობარსა და დამცველ გენერალისიმუს ი. ბ. სტალინს.

სამუშაო პრეზიდიუმის შემადგენლობაში არჩეულ იქნენ აგრეთვე ბულგარეთის პრემიერ-მინისტრი გეორგი დიმიტროვი და მშვიდობის დაცვისათვის კულტურის მოღვაწეთა კავშირის საერთაშორისო კომიტეტის წევრები.

მოხსენება „მშვიდობისათვის ბრძოლა და მასში ბულგარული ხალხის მონაწილეობა“ გააკეთა სოფიის უნივერსიტეტის რექტორმა აკადემიკოსმა გიორგი ნაჯაკოვმა.

ბულგარელმა ხალხმა, რომელიც სოციალიზმის საფუძველთან აშენებს, — თქვა მომხსენებელმა, — დაადასტა ამ კონგრესზე შეკრებილ თავის დელეგატებს გამოთქვან ბულგარელი ხალხის ურაგები გადაწყვეტილება — დიდ სამეზობლო კავშირთან, სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან და მთელ პროგრესულ კაცობრობასთან ერთად ებრძოლოს ომის გამზადებელთა აგრესიული გეგმების ჩასაშლელად, მშვიდობისა და დემოკრატიისათვის.

კონგრესის პრეზიდიუმის სახელზე მიღებული მრავალი დეპეშა ბულგარეთის საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებისაგან, რომლებიც მიესალმნიან კონგრესს და გამოთქვამენ ბულგარელი ხალხის ყველა ფენის მზადყოფნას — მთელი ძალოვანი დაიცვან ხალხთა მშვიდობა, შშვიდობიანი ცხოვრება და თანამშრომლობა.

მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის წინ

პარიზი, 2 აპრილი. (საკადრო). მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მოსამზადებელ კომიტეტს მრავალი ახალი წერილი და დეპეშა მისდის კონგრესისადმი მიმართის შესახებ.

ჩრდილო ფერიკიდან კონგრესისადმი შეერთების შესახებ ცნობა გამოგზავნეს ალეიროს ხაზგადოება „სახალხო დამპარეგბამ“. ტუნისში შეიქმნა „მშვიდობის დაცვის კომიტეტი“, რომელმე შედიან „მშვიდობის დაცვისათვის ინტელექტუალური შრომის მუშაკთა ეროვნული კომიტეტის“ წარმომადგენელნი, ტუნისის პროფკავშირთა გაერთიანება, „ტუნისელ მშრომელთა საყოველთაო კავშირი“, ტუნისის „დეპორტიული ახალგაზრდობის კავშირი“, ტუნისის ახალგაზრდობის „ეროვნული ფენის ასოციაცია „საბჭოთა კავშირის მეგობრები“ და სხვები.

საფრანგეთის ახალ ორგანიზაციათა შორის, რომლებმაც განაცხადეს კონგრესში მონაწილეობის სურვილი, არიან ზემო პირენეის პროფკავშირთა გაერთიანება, მარსელის მელითონეები, ბარის დეპარტამენტის პროფკავშირთა გაერთიანება (30 ათასი წევრი), ეიონრნების დეპარტამენტის მეტალურგები, საფრანგეთის „ეროპუბლიკური ახალგაზრდობის კავშირის“ მრავალი ფედერაციი (სენის, ზემო გარონის, ზღვისპირა ალპების დეპარტამენტები) და ბევრი სხვა.

გაიხსნა მშვიდობის დაცვისათვის ბელგიის კონგრესი

ბრიუსელი, 3 აპრილი. (საკადრო). გუშინ ბრიუსელში გიხსნა მშვიდობის დაცვისათვის ბელგიის კონგრესი. კონგრესს ესწრებიან ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის თავმჯდომარე ეიენი კოტონი, აგრეთვე ბევრი უცხოელი სტუმარი. დარბაზი, სადაც კონგრესი მიმდინარეობს, მორთულია ლოზუნგებით: „ოუ ჯეგენთანდონ, ჩვენ შშვიდობას ვიხსნით!“, „ფედერი მშვიდობას! მოითხოვენ!“

კონგრესის პრეზიდიუმმა მისასალმებელი დეპეშები მიიღო ბელგიის მრავალი დემოკრატიული ორგანიზაციისაგან.

კონგრესს გახსნისას „მშვიდობის დაცვისათვის ბელგიელ ქალთა კავშირის“ თავმჯდომარემ ლავრიერმ განაცხადა: ამ კონგრესის მიზანია ბელგიის მთავრობას დაანახვოს, რომ ბელგიელ ქალებს ორი მსოფლიო ომის შემდეგ არა სურთ, რომ მათი შვილები და ქმრები მესამე მსოფლიო ომის სახარაზეზე ხოცულ ბანდნენ.

„მშვიდობის დაცვისათვის ბელგიელ ქალთა კავშირის“ მოღვაწეობის შესახებ საანგარიშო მოსსენება გააკეთა კავშირის მდივანმა ბრენ ფოუმ.

ბრენფომ მკვეთრად გააკრიტიკა დასავლეთი ბლოკის შექმნა, ჩრდილო ატლანტიკის პაქტი, გერმანიის საკითხზე ექვსი ქვეყნის ლონდონის შეთანხმება და განაცხადა, რომ ყოველივე ეს ხელს არ უწყობს ხალხთა შორის მტკიცე მშვიდობის დამყარებას. მეტწილ ბელგიელ ქალთა პოზიცია, ხაზგასმით აღნიშნა ორატორმა, სრულიად ნათელია; ამას მოუშმობს მრავალი ათეული ათასობით ხელმოწერა სამშვიდობო პეტიციაზე. ჩვენ გვსურს მტკიცე, ხანგრძლივი მშვიდობა; ჩვენ არა გვსურს, რომ ბელგია ომში ჩაითრიონ.

მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესზე, თქვა ბრენფომ, ბელგიის დელეგაციი წარმომადგენელი იქნება ასათასობით ბელგიელთა, რომელთაც ომი არა სურთ. ჩვენი დეკეზია: „ეძრის იმპერიალისტური მთავრობების მიერ ახალი აგრესიული ომის გასაჩაღებლად აღებული ეეზი“.

კონგრესის სახელით ბრენფომ ყველა ბელგიელ ქალს მოუწოდა უფრო ფართოდ გააჩაღონ ბრძოლა მშვიდობისათვის.

კონგრესის პრეზიდიუმს დამსწრეთა ტაშის გრიალში გადასცეს ათეულ ათასობით ბელგიელ ქალის მიერ ხელმოწერილი სამშვიდობო პეტიცია.

ბრიტანეთის ჯრედ-უნიონთა კონგრესმა უარი თქვა მიეღო საკავშირო პროფსაბჭოს მინვევა პროფკავშირთა X ყრილობაზე ორი დელეგაციის გამოგზავნის შესახებ

პროფესიულ კავშირთა საკავშირო ცენტრალურმა საბჭომ ბრიტანეთის ტრედ-უნიონთა კონგრესისს გენერალურ მდივანს ვ. ტიტორნს დეპეშა გაუგზავნა და სთხოვა ორი დელეგატი გამოეგზავნა ბრიტანეთის ტრედ-უნიონთა კონგრესისაგან პროფესიულ კავშირთა X საკავშირო ყრილობაზე.

საკავშირო პროფსაბჭომ ამ მიწვევაზე ბრიტანეთის ტრედ-უნიონთა კონგრესმა შემდეგი შინაარსის უარით უპასუხა:

„ვ. კუზნეცოვს, ლონდონი, 1949 წლის 31 მარტი

საკავშირო პროფსაბჭო

მოსკოვი

ვწუხვართ, რომ არ შეგვიძლია მიეღოთ თქვენი მიწვევა და ბრიტანეთის ტრედ-უნიონთა კონგრესის ორი მოძმე დელეგატი გამოვგზავნოთ პროფესიულ კავშირთა X ყრილობაზე.

ჯორჯ ბუგეოკი,

ტრედ-უნიონთა კონგრესის გენერალური მდივანი მოადგილე“.

საბჭოთა კოლმეურნეების დელეგაცია ვარშავაში ჩავიდა

ვარშავა, 2 აპრილი. (საკადრო). დღეს ვარშავა უცხოეთრიდან ჩამოვიდა საბჭოთა კოლეგიის დელეგაციი, რომელსაც მეთაურობს კიევის ოლქის კოლმეურნეობა „ზღიბეტოა კოტენის“ თავმჯდომარე თეოდორე ივანეს-ძე ლუბკოვეცკი. დელეგაციის შემადგენლობაში არის 11 სოციალისტური შრომის გმირი. დელეგაციი მონაწილეობას მიიღებს ვარშავა ეროვნულ-დახმარების კავშირის სრულიად პოლონეთის ყრილობაში, რომელიც 3 აპრილს გაიხსნება.

ბიბლიოთეკა ფრანგულ ენაზე

ძველი ლიტერატურის დიდაკალი ფონდი

კარლ მარქსის სახელობის თბილისის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკამ ამას წინათ ლენინგრადიდან მიიღო სხვადასხვა ლიტერატურის დიდძალი ფონდი. მიღებულია 3.000-მდე ცალი რუსული და უცხოური წიგნი. მათი ეროვნულობა გამოცემულია მე-16, მე-17 და მე-18 საუკუნეებში. გარდა ამისა, მიღებულია 1920 წლამდე და შემდეგ გამოცემული ქართული ლიტერატურის ინვენთი ნამუშევნი. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე გამოცემული ლიტერატურა 800-მდე ცალს შეადგენს. მათ შორის არის ისეთი წიგნები, რომლებიც ქართულ წიგნთა მატიანეში მოხსენებულიც არაა. მოიძოვებიან ისეთნი, რომლებიც ბიბლიოგრაფიულ ინვენთაბას წარმოადგენენ და თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის წიგნად ფონდში დაცული არ არის.

ახლად მიღებულ ლიტერატურაში აგრეთვე არის ბერიოდული გამოცემანი 1900 წლამდე („ცისკარის“, „ივერიის“ და „მოამბეს“ ეგზემპლარები). ჩამოტანილია მე-15-16 საუკუნეების ხელნაწერთა ფოტოსლენტი.

საჯარო ბიბლიოთეკამი მომდინარეობს მათი დამუშავება.

ახალი წიგნები

გამომცემლობა „საბჭოთა მწერალმა“ „პოეტის ბიბლიოთეკის“ სერიაში გამოსცა შემდეგი წიგნები:

„ბეხოკი“. წიგნში მოთავსებულია ლექსები, ოდები, პოემები და ნარეკი. წიგნს დართული აქვს მისი რედაქტორის ლევან ასათიანის ნარკვეული ბესიკის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ.

„ვაჟანგ ორბელიანი“. წიგნში მოთავსებულია 50-მდე ლექსი, აგრეთვე სამაგვო ლექსები და დაუმთავრებელი ნაწერები.

წიგნს დართული აქვს პოეტის მოკლე ბიოგრაფია. რედაქტორია რ. გვეტაძე.

„რაფიელ ერისთავი“. წიგნში შესულია პოეტის 150-მდე ლექსი, აგრეთვე მიცალეგეული, ლერმონტოვის, პუშკინის, კრილოვისა და სხვა პოეტთა ლექსების თარგმანები. წიგნს დართული აქვს პოეტის ბიოგრაფიული ნარკვევი.

წიგნის რედაქტორია შ. რადიანი.

მეოთხედ სამი ბაჯაკანი

ბონლინი. (სპეც. კორ.). სოფელ ქოლაგირის კოლმეურნეობა „სოციალიზმის“ მეცხვარეობის ფერმაში ერთმა დედაცხვარმა მეოთხედ მოიგო სამი ბატკანი. ბატკანები ჯანსაღად არიან. აღსანიშნავია, რომ ამ დედაცხვარის შთამომავლები წელიწადში ორ-სამ ბატკას შობენ.

ნამო ვაჩნაძის შემოქმედებითი საღამო

11 აპრილს ზ. ფალავანელის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში მოეწყობა სტალინური პრემიის ლაურეატის, რესპუბლიკის სახალხო არტისტის ნატო ვაჩნაძის შემოქმედებითი საღამო ქართულ კინემატოგრაფიაში მისი 25 წლის მოღვაწეობის აღსანიშნავად.

კვლოსეულის სახელობის საქალაქო პარკკაბინეტში

5 აპრილს, საღამის 8 საათზე, შედგება აბს. ბ. ედენტის ლექციი თემაზე: **„ანტიანტიტიტეზმისა და ბურჟუაზიული კოსმოპოლიტიზმის წინააღმდეგ ლიტერატურასა და თეატრალურ კრიტიკაში“.**

სემინარი

8 აპრილს, საღამის 8 საათზე, მარქს-ენგელსლენინის ინსტიტუტის საკავშირეთო ფილიალის შენობაში (რუსთაველის პროსპექტი, 29) შედგება ეკონომიკურ მეცნიერებათა მეფიზიმომქმედი სემინარი. შესავალ ლექციას თქმაზე: **„საქართველოს სსრ მრეწველობა ახალ სტალინურ ხუთწლედში“** წაიკითხავს დოცენტი ი. მიქელაძე.

ეკონომიკურ პროფესორ-ლექტორთა დისპრეტა სავალდებულოა.

7 აპრილს, საღამის 8 საათზე, საქართველოს კ. კ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლ. პ. ბერიას რაიონის ხსდოლთა დარბაზში მოწვეულია მუშრომთა დეპუტატების თბილისის ლ. ბ. ბერიას რაინსაბჭოს მ. ს. სესია.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

სახელმწიფო დაზღვევის ორგანოები

ნებაყოფლობითი დასაზღვევის წესით აზღვევენ

საოჯახო ქონებას:

ავეჯს, ტანსაცმელს, ფეხსაცმელს,
მუსიკალურ ინსტრუმენტებსა და სხვას,
აგრეთვე პროდუქტებსა და სათბობის მარაგს, საწენ მასალას.

სახელმწიფო დაზღვევა ანაზღაურებს

ხანძრით, წყალდიდობით, მიწისძვრითა და სხვა სტიქიური უბედურებით, აგრეთვე სტიქიური უბედურების დროს ქონების მოპარვითა და დაკარგვით გამოწვეულ ზარალს.

დაადზღვევეთ საოჯახო ქონება!

დაზღვევის ხელშეკრულების დასადებად მიმართეთ სახდაზღვევის ინსპექციებს ან აგენტებს.

სახელმწიფო დაზღვევის საქართველოს სსრ სამმართველო.

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს

თბილისის ავტომობილეკეთებელი ქარხანა

აცნობებს ყველა საწარმო-დაწესებულებას, ქარხნებს, ფაბრიკებს, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ხელმძღვანელებს, რომ ქარხანა იღებს კაპიტალური შეკეთებისათვის საბარგო ავტომანქანებს: „ზილ-5. „გაზ-ემ“ და „გაზ-აა“.

ყველა ორგანიზაცია, რომელსაც ჩაბარებული აქვს შესაკეთებლად ავტომანქანები, ვალდებულია დაუყოვნებლივ მიიღოს შეკეთებული მანქანები.

ცნობებისათვის მიმართეთ: თბილისი, ლერმაღელეგ, მექანიზაციის ქ. № 1. თბილისის ავტომშემკეთებელი ქარხნის გასაღების განყოფილება. ტელეფონი № 3-00-61.

ა. წ. 25 აპრილიდან ქოგულეთში იხსნება სარეზერვო კოოპერაციის დამზღვევ სალარო-თა კავშირის დასასვენებელი სახლი. დაინტერესებულ ორგანიზაციებს შეუძლიათ გადაიხადონ შეიძინონ საგზურები თავიანთ მუშა-მოსამსახურეებისათვის. დაწერილებითი პირობების, გზების შეიძლება საქმესრულებაზეზეგი ადგილ-ზე: თბილისი, მაჩაბლის ქ. № 2, ტელეფონი № 3-53-86.

თეატრებში

ოპერა-ბალეტის სახ. თეატრისა და ბალეტის	6-IV	„აიდა“	8 ს. 11 წ.ღ.
რუსთაველის სახელობის	5-IV	„მეუე ლირი“	9 ს. 8 წ.ღ.
	6-IV	„პირველი ნაბიჯი“	ბავშ. გეგეშე
მარჯანიშვილის სახელობის	5-IV	„რომეო და ჯულიეტა“	12 ს. 8 წ.ღ.
	6-IV	„ნინოშვილის გურია“	13 ს. 7 წ.ღ.
მუსიკალური კომედიის	5-IV	„ჩემი გიუზელი“	7 ს. 9 წ.ღ.
	6-IV	„სილვა“	4 ს. 9 წ.ღ.
მოზარდ მაყურებლთა ქალთეატრი	6-IV	„მირანდოლა“	57 ს. 7 საათ

მეუღლე ალეკსანდრა, შვილები ალიოშა, სოსო, ზურაბ, ვარა, ბარბარე, გულნარა, ძმები ვიქტორ, კალენაკე, სანა, დები კასიონი, აგრაფენა, სიმეონი ა. მაღლაკელიძე, ე. ჯაბანაშვილი, გ. ბაბუაძე შვილებისა ოუწყვიანან **მელპო ნიკოლოზის-ძე რობაქიძის** გარდაცვლებას. დაკრძალვა 7-IV ს. თერჯოლაში.

„გლავუტალსერიოს“ საქართველოს რესპუბლიკური კანტორის და ფაბრიკის კოლექტივი ოუწყვანა ბ. თოფთოს დედის **ანასტასია ეგნატეს ასულ თოფთოს** გარდაცვლებას. დაკრძალვა 5-IV ქ. ფოთში.

საქართველოს მალარიისა და სამედიცინო პარასიტოლოგიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივი ოუწყვანა ეკმ **ერმალოზ ქრისტეფორეს-ძე ბაფლაძის** გარდაცვლებას.

დედა ვერა, დები ნორა, ეთერ, ძმა შალვა, რძალი თინა, სიძე ალიოშა, დისშვილები მაყვალა, ციცინო, ძმისშვილი ია, ბიძეები ვასილ, ვიქტორ ოუწყვანან **ნანი ვარლამის ასულ შალამბერიძე-ჯიუელის** გარდაცვლებას. დაკრძალვა 7-IV, სოფ. II სვირში.

ბაბუცა და შალვა გოგიები, ნატო, თამარ და გიორგი გაბუნიები ოუწყვანან **პლატონ კონსტანტინეს-ძე ბოკერიას** გარდაცვლებას.

ნ. დეალი, მ. ქვარიანი, ს. კობრაეიძე, გ. ალიხანოვი თანაგრძნობას უცხადებენ შ. ბოკერიას მისი მამის **პლატონ კონსტანტინეს-ძე ბოკერიას** გარდაცვლებას გამო.

ს. მ. იშხანოვი ოჯახით თანაგრძნობას უცხადებს ვახტანგ და შოთა ბოკერიებს მათი მამის **პლატონ კონსტანტინეს-ძე ბოკერიას** გარდაცვლებას გამო.

ს. ბ. ბაბაიანი, ს. ალიხანოვი, ნ. ალიხანოვი, ბ. ალიხანოვი, ბ. ალიხანოვი, ბ